

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



**მარიამ ელერდაშვილი**

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

**კომპანიის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის  
ანალიზის საკითხები შ.პ.ს „ემბავუდ ჯორჯიას“ მაგალითზე**

შრომა შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

**მერაბ ჯიქია**

თბილისი

2019

## ანოტაცია

ნაშრომის შესავალი ნაწილის განხილვა დავიწყეთ უშუალოდ იმის განმარტებით, თუ რა არის ფინანსური მდგომარეობა, რა სარგებელი აქვს მისი დეტალური ანალიზის ჩატარებას, როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია მდგრად ფინანსურ მდგომარეობას საწარმოს გეგმებსა და რესურსებზე, ასევე საუბარია დადებით ეფექტებსა და პროცესების სარგებლიან მართვაზე.

რაც შეეხება კვლევის ძირითად ნაწილს აქ საფუძვლიანად მიმოვიხილე, როგორც მთავარი თემის საკითხები, ასევე შევეცადე თითოეული ქვეთავი დამეწყო ძირითადი ცნებების განმარტებით, რომლის გარშემოც იყო განხილვა. თუნდაც, იმით თუ რას წარმოადგენს თვითონ მოგების ცნება და, რომ დღემდე არ წყდება მეცნიერული კამათი მისი არსისა და ფორმების შესახებ. ასევე, განვმარტე ხარჯების ცნება და მისი კლასიფიკაცია. აღნიშნული თეორიული საკითხები, გვეხმარება იმის განხილვაში, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს საწარმომ ფინანსური შედეგების ეფექტიანობა, რა ხერხებითა და მეთოდებით შეინარჩუნოს პოზიციები და არ აღმოჩნდეს ზარალიანი.

მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, ფინანსური შედეგების მაჩვენებლეთა სისტემა და, სწორედ, ამ ქვეთავშია წარმოდგენილი ის მეცნიერული სიახლე, რომელიც ახლავს თან ამ საკითხს, ეს არის შედარებით ახალად დანერგილი მოგების გადასახადის საკანონმდებლო მოთხოვნა. ამ ახალ რეფორმას წარმოადგენს ე.წ. „ესტონური მოდელი“, რაც შეეხება CVP ანალიზს, იგი საშუალებას გვაძლევს გაანგარიშებულ იქნეს გაყიდვების მოცულობები სხვადასხვა შემთხვევებში, მაგალითად მაშინ როცა კომპანია ნულოვან მოგებაზე გადის ანუ ე.წ. წაუგებლობის ანალიზი, ან სურს მიიღოს სასურველი მოგება და ასევე, მიზნობრივი მოგება აქვს განსაზღვრული. ასევე, ამ ანალიზის საფუძველზე გვეძლევა შესაძლებლობა დავადგინოთ გაყიდვების ის აუცილებელი დამატებითი მოცულობა, რომელიც დააკომპენსირებს ფასდათმობას.

საბოლოოდ, კი შეიძლება ითქვას, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოში ფინანსური საკითხების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია არის შესაძლებელი, ხელმძღვანელმა უნდა გაარკვიოს თუ რამდენად სწორია ფინანსური პოლიტიკის

წარმართვისთვის გამოყენებული მეთოდები და, აუცილებლობის შემთხვევაში  
შეასწორონ ისინი.

## **Annotation**

### **Issues of financial results and financial position analysis on the example of Embawood Georgia Ltd.**

Mariam Elerdashvili

Let's discuss the part of the study's introduction directly to explain what is the financial situation, what is the benefits of its detailed analysis, how the impacts of a sustainable financial situation can lead to enterprise plans and resources, as well as positive impacts and effective management of processes.

As for the main part of the research, I have thoroughly reviewed the issues of the main topic, and I tried to find out each subdivision of the basic concepts that were discussed around. Even if, what is the notion of profit, and that there is no scientific argument about its essence and forms. Also, explain the concept of costs and its classification. These theoretical issues help us to understand how the enterprise can maintain the efficiency of the financial results, retain the positions and don't be unsuccessful.

An important issue, as well as the system of financial outcomes, and that is the scientific novelty presented in this subsection that accompanies this issue, which is a newly introduced profit tax legislation. This new reform is the so-called The "Estonian Model"

As for CVP analysis, it enables us to calculate sales volumes in different cases, such as when the company passes on zero profit or so-called Disregard analysis, or want to get the desired profit and also have targeted profits. Also, on the basis of this analysis, we have an opportunity to establish the necessary additional volume of sales that will compensate the price.

Finally, it can be said from the fact that there are different interpretations of financial issues in the enterprise, the manager must be able to find out whether the methods used for financial policy are correct and to correct them if necessary.

## შინაარსი

ანოტაცია.....	2
შესავალი.....	7
თავი 1. საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი.....	10
1.1 ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისიტემა და ანალიზის მეთოდოლოგია.....	10
1.2 კაპიტალდაბანდებისა და საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი.....	27
1.3 მისაღები გადაწყვეტილების ანალიზი „მოცულობა-ხარჯები-მოგების“ ურთიერთკავშირის ანალიზი (CVP-ს ანალიზი).....	33
თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგიის საკითხები.....	45
2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და ანალიზი.....	45
2.2 საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი.....	56
2.3 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებელთა შეფასება და ანალიზი.....	65
2.4 საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი.....	70
დასკვნა.....	77
გამოყენებული ლიტერატურა.....	80
შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს დანართები.....	83

## შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რომ გადავრჩეთ და ჩვენი საქმიანობა ეფექტიანად წარვმართოთ კარგად უნდა ვიცოდეთ: როგორ გამოვიყენოთ ფინანსური რესურსები, როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს კაპიტალს შემადგენლობისა და წარმოშობის წყაროს მიხედვით, რა წილს უნდა შეადგენდეს, ერთის მხრივ, საკუთარი და მეორეს მხრივ, ნასესხები საშუალებები. თემის აქტუალურობასაც, სწორედ, სამეურნეო პროცესების მართვისა და რეგულირების თანამედროვე ფორმების გამოყენება წარმოადგენს, რასაც განვიხილავთ შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ მაგალითზე.

ნაშრომის მიზანი და ამოცანა არის ანალიზისთვის აუცილებელი ფინანსური მდგომარეობის შესწავლა. ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს იმ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, რომელიც აუცილებელია: საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ფინანსების მიზანმიმართულად დაბანდებისა და ეფექტურად გამოყენებისთვის, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ფინანსური ურთიერთობისთვის, ხელფასების გაცემისა და ფინანსური მდგრადობისთვის.

განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების საფუძველს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საწარმოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, საქმიანი აქტივობის, გაკოტრების დიაგნოსტიკის, ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა შემუშავებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას გულისხმობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს არჩეული საკვლევი თემის აქტუალობა.

კვლევის ობიექტი არის შპს „ემბავუდ ჯორჯია“, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1999 წლის 15 ნოემბრიდან. ჰყავს სამი აციონერი. კომპანიის საქმიანობა მოიცავს ავეჯის წარმოებას და გაყიდვას. კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება საქართველოს ფარგლებში თუმცა ახორციელებს ექსპორტსაც. აქვს წარმოების ორი ობიექტი თბილისსა და გარდაბანში. წარმოებაში

დასაქმებულია დაახლოებით 187 ადამიანი, ხოლო 339 თანამშრომელია მთლიანად კომპანიის ჭრილში.

საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, დადებით გავლენას ახდენს საწარმოო გეგმების შესრულებასა და საწარმოს აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაზე.

„ემბავუდ ჯორჯია“ გაყიდვების დიდ წილს ახორციელებს რეგიონული ბაზრების ხარჯზე და ამიტომ რეგიონის მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით, კომპანია არ ზრდის ფასებს, რაც თავის მხრის გავლენას ახდენს კომპანიის რენტაბელობაზე. „ემბავუდ ჯორჯია“ მუშაობს საქართველოს ყველა რეგიონში, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ დისტრიბუტორული ქსელის მეშვეობით. მას ხუთი ძირითადი დისტრიბუტორი ჰყავს, რომლებთანაც მუშაობს ფრნაჩაიზინგის ხელშეკრულებებით და მათ თავის მხრივ გააჩნიათ საკუთარი მაღაზიები. მის ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენას ახდენენ, როგორც საქართველოს ეკონომიკური სიტუაციის საგარეო ფაქტორები, ძირითადად ლარის კურსის დაცემა, ასევე შიდა ფაქტორები, კერძოდ, არასაკმარისი საექსპორტო ბაზარი. ამიტომ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები 2016-2017 წლებში არ იყო ოპტიმისტური, შემცირდა პროდუქციის გამოშვებაც, მაგრამ 2018 წლის 9 თვის განმავლობაში კომპანიამ ჩაატარა რიგი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას მისცემს მას მომავალში გადავიდეს დადებით შედეგზე.

თუმცა არსებულ სიტუაციასთან ერთად კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვის კუთხით, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, ასევე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალეზულება.

კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური შედეგები და მისი ანალიზი. ზოგადად, საწარმოსა და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე ბევრი რამის დადგენა შესაძლებელია. მაგალითად, იმის თუ რამდენად გადახდისუნარიანია კომპანია, რამდენად გამოირჩევა ფინანსური მდგრადობით, საინვესტიციოდ არის თუ არა მიმზიდველი, ეფექტიანია თუ არა მისი საქმიანობა და, ასევე, ვადგენთ ლიკვიდურობას.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ფინანსური შედეგების მაჩვენებლები და ანალიზის მეთოდები, რომელთა ჩატარების შედეგად ბევრ კითხვას შესაძლოა გავცეთ პასუხი: თუ რამდენად სტაბილურია მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები, რამდენად ეფექტიანია ეს ხარჯები, როგორია დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობა და საერთოდ, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება ბიზნესის მართვა.

ამასთან, კლიენტს შეიძლება აინტერესებდეს არა მარტო საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, არამედ მისი უახლოესი და გრძელვადიანი პერსპექტივები. ზოგჯერ, თვითონ ხელმძღვანელს სურს, დარწმუნდეს, სწორია თუ არა საწარმოს მიერ არჩეული პოლიტიკა.

ამას გარდა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, დამფუძნებლებს, მესაკუთრეებს და აქციონერებს სჭირდებათ სრული და ობიექტური ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, პროდუქციისა და კაპიტალის რენტაბელობის შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საშუალებას იძლევა, გაირკვეს კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, მოიძებნოს სწორი გზა მისი განვითარებისთვის და მნიშვნელოვნად გაიზარდოს შემოსავლების მოცულობა. შედეგად, საწარმოს ხელმძღვანელებს საშუალება ეძლევათ გაარკვიონ, რამდენად სწორია ფინანსური პოლიტიკის წარმართვისთვის გამოყენებული მეთოდები და, აუცილებლობის შემთხვევაში შეასწორონ ისინი. აუცილებელ ინფორმაციის წყაროდ იყენებენ ფინანსურ (საბუღალტრო) ანგარიშგებას.



# თავი 1. საქმიანობის ეფექტიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი

## 1.1 ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა სისიტემა და ანალიზის მეთოდოლოგია

ნებისმიერი კომპანიის ფუნქციონირების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის უნარზე მიიღოს აუცილებელი მოგება.

მოგება საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს. თავის მხრივ, ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. მეწარმე ბიზნესის საქმიანობას საბოლოოდ, მოგების მიღების თვალსაზრისით აფასებს, რადგან, მეწარმისათვის ბიზნესს იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც მას მოგება მოაქვს.

**მოგება** - ფულად ფორმაში გამოსახული მეწარმის წმინდა შემოსავალი დაბანდებულ კაპიტალზე, რომელიც მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის რისკის განხორციელების შედეგად მიღებულ ფულად „ჯილდოს“ ახასიათებს.

მეწარმე (ან საწარმო) მოგებას იყენებს კაპიტალის გასადიდებლად, პირადი სიმდიდრის გასაზრდელად, წარმოების გაფართოებისათვის, საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად, დასაქმებული პერსონალის წახალისებისა და დაჯილდოებისათვის, სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსებისა და ქველმოქმედებისათვის. ამდენად, ესა თუ ის საწარმო იღებდეს მოგებას და იყოს მომგებიანი, ეს არა მხოლოდ საწარმოს მესაკუთრეთა, არამედ, დასაქმებული პერსონალის, სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის. მოგების მიღების მიზნით მეწარმე ცდილობს რაციონალურად და რაც შეიძლება მაღალი შედეგიანობით გამოიყენოს მის ხელთ არსებული მატერიალური და შრომითი რესურსები. ამით იგი საზოგადოებრივ ამოცანასაც ასრულებს, რადგან რესურსები ზოგადად ამოწურვადია და საჭიროა ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებები, რა აწამოო და როგორ აწარმოო.

მოგება წარმოადგენს საწარმოს მუშაობის ეკონომიკურ ეფექტს. იგი არის საწარმოს საბოლოო დადებითი ფინანსური შედეგი. მასში ასახულია საწარმოს საქმიანობის ყველა

მხარის ფუნქციონირების ხარისხი. ამიტომ, მოგება საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური, ნაერთი, ზოგადი მაჩვენებელია, რომელზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში თუ მორალურ ქცევებში მომხდარი ყველა ქმედება.

ანალიზის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური ანგარიშგება და ბიზნეს-გეგმის მაჩვენებლები. აგრეთვე, საწარმოთა მომგებიანობის საშუალო დარგობრივი მაჩვენებლები.

საწარმოს ფინანსური შედეგების მაჩვენებლები ორ ჯგუფად: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებად იყოფა.

I. აბსოლუტური მაჩვენებლები საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის საერთო მოცულობას გამოხატავენ, როგორცაა: მოგება ან ზარალი. ყოველთვის საინტერესოა იმ მიზეზების გამოვლენა, რამ გამოიწვია მოგების ზრდა, რადგან, შესაძლოა მოგებას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ფასების ზრდის შედეგად, რაც რეალურ ეკონომიკურ ზრდად არ შეიძლება ჩაითვალოს. საწარმოში მოგების მაჩვენებელი სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება. შესაბამისად გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

- მოგება რეალიზაციიდან;
- საოპერაციო მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება);
- წმინდა მოგება;
- განაწილებული და რეინვესტირებული მოგება.

**მოგება რეალიზაციიდან** არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის. აგრეთვე ცნობილია **ზღვრული მოგების მაჩვენებელი**, რომელიც არის სხვაობა შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებს შორის. მაგრამ, ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოს შიგნით, მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად დაგეგმვის დროს და არ წარმოადგენს ფინანსური ანალიზის სფეროს გარე ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

**რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელზე გავლენას ახდენენ შემოსავლისა და თვითღირებულების ცვლილება. შემდეგ კი თვით შემოსავლებსა და თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები. როგორცაა: რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ფასი, დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე და ცალკეული სახის დანახარჯების გამოყენების ხარისხი.**

**საოპერაციო მოგება** არის საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგება. იგი უდრის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული არასაწარმოო დანახარჯები, როგორცაა: მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები. ანუ, საოპერაციო შემოსავლებს მინუს საოპერაციო ხარჯები. საოპერაციო მოგების გადახრაზე გავლენას ახდენს რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი ფაქტორები და აგრეთვე, მარკეტინგისა და ადმინისტრაციული ხარჯების ეფექტიანად გამოყენების ხარისხი. არასაწარმოო (მარკეტინგისა და ადმინისტრაციული) ხარჯების, პროდუქციის თვითღირებულებასთან ფარდობის კოეფიციენტის ზრდა, არ უნდა აღემატებოდეს შემოსავლებთან საოპერაციო მოგების ფარდობის კოეფიციენტის ზრდას.

**მოგება დაბეგვრამდე** (იგივე წლიური მოგება) უდრის საოპერაციო მოგებას მინუს საპროცენტო ხარჯები და პლუს საპროცენტო შემოსავლები. ხშირად აღნიშნულ მაჩვენებელს ბუღალტრულ მოგებასაც უწოდებენ და მის გამოსათვლელად, ასევე, ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ მოგებას დავუმატოთ სხვა შემოსავლები და გამოვაკლოთ სხვა გასავლები.

**წმინდა მოგება** არის სხვაობა დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის. მაშასადამე, მასზე გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ნორმა და ყველა ის ფაქტორი, რაც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების საფუძველზე გულისხმობს შემდეგ ალგორითმს:

მოგება დაბეგვრამდე (ბუღალტრული მოგება) + გადავადებული საგადასახადო აქტივები - გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები - მოგების მიმდინარე გადასახადი.

გაუნაწილებელი მოგება არის წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდებისა და შექმნილი რეზერვების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგება. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოადგენს საფუძველს საწარმოს თვითდაფინანსების შესაძლებლობების შესაფასებლად. მისი სიდიდე პირდაპირ დამოკიდებულებაშია საწარმოში წმინდა მოგების განაწილებასა და ასევე, სადივიდენდო პოლიტიკასთან. მოგების გადასახადის საკანონდებლო მოთხოვნები საქართველოში შეიცვალა და წმინდა მოგება მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული დიდი დივიდენდებსა და რეინვესტირებაზე.

დღეისათვის, ანალიზის სამამულო მეთოდულ კადაში, ფართო გავრცელება ჰპოვა მაჩვენებლებმა, რომლების შემოღებულ იქნა ანალიზის დასავლეთ პრაქტიკიდან, როგორცაა:

EBIT (earnings before interest and taxes) – მოგება პროცენტებისა და მოგების გადასახადის გადახდამდე. აღნიშნული მაჩვენებელი ახლოსაა საქართველოს ბუღალტრულ ანგარიშგებებში ასახული მოგების მაჩვენებლებთან ძირითადი საქმიანობიდან (გაყიდვების შედეგი). იგი გამოიყენება ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შედეგის დასახასიათებლად.

სანამ განვიხილავდეთ ეკონომიკური ეფექტიანობის ფარდობით მაჩვენებელს, აუცილებლად უნდა შევხდეთ ზემოთხსენებულ სიახლეს. ცვლილებას, მოგების გადასახადის საკანონდებლო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც დღესდღეობით ძალზედ აქტუალური საკითხია.

2015 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა დაანონსეს მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში - მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება. საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა. საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამეწარმეო საქმიანობის მიღმა და არ გაწევენ სამეწარმეო საქმიანობისთვის დადგენილ წარმომადგენლობით ე.წ სადღესასწაულო ხარჯებს ნორმაზე მეტად, არ შეამცირებენ

ურთიერთდამოკიდებულ (ნათესავები და სხვა ახლო ურთიერთობის მქონე პირები) და ოფშორულ კომპანიებთან საბაზრო გარიგებებით დადგენილ საბაზრო ფასს, არ შეიძენენ უსაბუთოდ საქონელს ან მომსახურებას, ნაკლები საბაზრო ურთიერთობები ექნებათ ოფშორულ და მოგების გადასახდისგან განთავისუფლებულ პირებთან და სხვ. შესაბამისად, „ესტონური მოდელი“ ითვალისწინებს დაბეგვრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას. ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება.

განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

#### 1. განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

- ა) დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით;
- ბ) ურთიერთდამოკიდებულ პირისგან საქონლის ან მომსახურების შეძენა საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;
- გ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირთან საქონლის შეძენა ან რეალიზაცია საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;
- დ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.

2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. ეს ხარჯებია:

- ა) დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი;
- ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;
- გ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე კომპანიიდან შეძენილი საქონელი/მომსახურება;

დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისაგან საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

ე) ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის (24%) ფარგლების ზემოთ სესხისათვის გადახდილი პროცენტი;

ვ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი.

ზ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორი) რეგისტრირებული პირის, და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა; სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

თ) გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტებზე, ოფშორულ არარეზიდენტებზე და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებზე.

ი) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

კ) არარეზიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

ლ) არარეზიდენტის და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი.

4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი ან კომპანია თუ ზარალზეა მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯების 1 %-ზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

გარდა, აღნიშნულისა არსებობს შემთხვევები რაც გათანაბრებულია დივიდენდის განაწილებასთან. რეფორმის შედეგად არ იცვლება გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15% რჩება.

რეფორმის შედეგად იცვლება დასაბეგრი ოპერაციის საფუძველზე გამოსაანგარიშებელი მოგების გადასახადი შემდეგი წესით:

ზემოთ განხილულია 4 ტიპის დაბეგვრის ობიექტი, ხოლო თუ განისაზღვრა დასაბეგრი ობიექტის საბაზრო ფასი, ამ შემთხვევაში საბაზრო ფასი გაყოფილი 0,85- ზე (ე.წ „აგროსვა“) და გამრავლებული 15 % - ზე. მაგალითად, კომპანიას აქვს 100 ლარი გართობის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის კომპანიის საქმიანობასთან, ამ შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადი შეადგენს 17, 64 ლარს ( $(100/0, 85)*15$  %).

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, თუ რა ტიპის კომპანიებზე ვრცელდება ესტონური მოდელი. არიან სუბიექტები, რომლებზეც ძველი მოდელი კვლავ რჩება ძალაში, ესენია ინდ. მეწარმეები, არაკომერციული იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორცაა მიკრომეწარმე, მცირემეწარმე, ფიქსირებული გადასახადის მქონე სუბიექტები, ესტონური მოდელი არ იმოქმედებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული შეღავათები, მაგალითად მიკრომეწარმეები საერთოდ არ იხდიან მოგების გადასახადს.

რეფორმის სიახლეს წარმოადგენს მოგების გადასახადის ჩათვლის შემოღება ცალკეულ ოპერაციებზე. გამომდინარე იქედან, რომ 2017 წელს კომპანიებს შეიძლება გადაყვეთ ბალანსზე გაუცემელი დივიდენდები, კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული და სპეციალური ფორმულის საფუძველზე შესაძლებელია 2008 წლიდან 2017 წლამდე

მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ რეფორმის მიზანი ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა. ხოლო მოსალოდნელი ფინანსური შედეგი კი საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

გამომდინარე იქედან, რომ მოგება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი წინა წლებთან შედარების დროს, ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ ახასიათებს. ამიტომ, გამოიყენება ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი – მომგებიანობა ანუ რენტაბელობა. იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად და ხარისხობრივი მაჩვენებელია.

მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად იყოფა:

I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;

II. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;

III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები შეიძლება სხვადასხვა ბაზის საფუძველზე იქნეს გამოთვლილი. როგორცაა, აქტივების ჯამი, საოპერაციო ხარჯები, გამოყენებული კაპიტალი და ა.შ.

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{აქტივების ჯამი}} * 100$$

იგი გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე. მომგებიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს. მისი ალტერნატიული მაჩვენებელია გამოყენებული (პერმანენტული) კაპიტალის უკუგება (ROCE).



$$\begin{aligned} \text{გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE)} &= \\ &= \frac{\text{მოგება \% და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები}} \end{aligned}$$

იგი აჩვენებს გამოყენებული კაპიტალის საერთო უკუგებას მანამ, სანამ გადაიხდება პროცენტები აღებულ სესხებზე და მოგების გადასახადი. დინამიკაში ამ მაჩვენებლის ზრდა კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას ნიშნავს. ახასიათებს საკუთარი სახსრებითა და გრძელვადიანი ვალდებულებებით შეძენილი რესურსების მომგებიანობის დონეს, ხოლო სხვაობა პირველ და მეორე მაჩვენებელს შორის, მოკლევადიანი რესურსების გამოყენების მომგებიანობას ახასიათებს. პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე არსებული მოგების მაჩვენებელი შეიძლება დაემთხვეს საოპერაციო მოგების მაჩვენებელს, თუკი საწარმოს საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები არ ექნება.

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{მატერიალური მარაგები + ძირითადი საშუალებები}} * 100$$

მომგებიანობის ეს მაჩვენებელი ახასიათებს იმ აქტივების ეფექტიანობას, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების საშუალებებს ანუ, რომელთა მეშვეობითაც იქმნება პროდუქტი. იგი ახასიათებს მოცემულ საწარმოში გამოყენებული, საკუთრივ წარმოების საშუალებების მომგებიანობას, რადგან საოპერაციო მოგება მთლიანად მოცემული საწარმოს წარმოების საშუალებების გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული. დასაბეგრ მოგებაზე, როგორც იცით, გავლენას ახდენს საპროცენტო ხარჯები და საპროცენტო შემოსავლები, რომელთა სიდიდე მოცემული კომპანიის მუშაობის ეფექტიანობაზე არაა დამოკიდებული. ამასთან, როდესაც მთელი აქტივების მომგებიანობას ვითვლით, აქტივებში შედის ნაყიდი აქციები და ობლიგაციები, საიდანაც მიღებული სარგებლის დონე მოცემული კომპანიის მუშაობის ხარისხზე ასევე, დამოკიდებული არაა.

აგრეთვე შეიძლება შესწავლილი იქნეს დამატებული ღირებულებისა და დაბანდებული კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტი (RE).

$$RE = \text{დამატებული ღირებულება} / \text{დაბანდებულ კაპიტალი}$$

დამატებული ღირებულება არის შრომითი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ჯამი. შეიძლება აგრეთვე შესწავლილ იქნეს საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა:

$$\text{საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{საოპერაციო ხარჯები}} * 100$$

მოტანილ ფორმულაში შეიძლება საოპერაციო ხარჯები დაიყოს საწარმოო და არასაწარმოო ხარჯებად და მათი ეფექტიანობა დინამიკაში ცალ-ცალკე იქნეს გამოკვლეული.

II. ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლები გამოითვლება წმინდა მოგების მაჩვენებლის მიხედვით ასევე სხავდასხვა ბაზის საფუძველზე. როგორცაა:

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} * 100$$

იგი აჩვენებს თუ, აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე, საწარმოს მფლობელთა საკუთრებაში რამდენი პროცენტი მოგება რჩება.

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} * 100$$

იგი აჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს და მეტად საინტერესაოა აქციონერებისათვის.

წმინდა აქტივების მომგებიანობა ( RONA) =წმინდა მოგება / (გრძელვადიანი აქტივები + წმინდა მიმდინარე აქტივი)

RONA – წმინდა აქტივების მომგებიანობაა აჩვენებს, რამდენად კარგად შეუძლია საწარმოს გამოიყენოს მისი აქტივების ბაზა მოგების შესაქმნელად. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მენეჯმენტის მართვის მით უფრო მაღალ ხარისხზე მიაწვდის.

III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებია:

$$\text{მარჟა} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}} * 100$$

მარჯა აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე და ასახავს საწარმოს მდგომარეობას საქონლის ბირჟაზე. მარჯა შეიძლება გამოითვალოს საოპერაციო მოგების შეფარდებით რეალიზიციდან მიღებულ შემოსავალთან.

$$F \text{ ფასნამატი} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება}} * 100$$

F ფასნამატი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ დანახარჯებზე. ფასნამატს ძირითადი საქმიანობის (წარმოების) რენტაბელობასაც უწოდებენ. იგი ყოველთვის აღემატება მარჯას. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებს აგრეთვე იყენებენ მოგება/ზარალის ანგარიშგების შესადგენად, არასრული საადრიცხო ჩანაწერების დროს. საწარმოს შიდა მართვაში აგრეთვე ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობის ანალიზიც ტარდება.

$$NINS = \text{წმინდა მოგება} / \text{მოგება რეალიზაციიდან}$$

ეს კოეფიციენტი ახასიათებს იმას, თუ რეალიზაციიდან მიღებული მოგების რამდენი პროცენტი რჩება საწარმოს მესაკუთრეებს საერთოდ, წმინდა მომგებიანობა ახასიათებს საწარმოს მმართველობის მუშაობის ეფექტიანობის ხარისხს. მისი ოპტიმალური დონე დამოკიდებულია კონკრეტული საწარმოს საქმიანობის ტიპზე.

იმისათვის, რომ საკვლევი საწარმოს მაგალითზე გავიხილოთ აღნიშნული კოეფიციენტები, საჭიროა დავეყრდნოთ კომპანიის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას.

ცხრილი 1.1. შპს ემბავუდ ჯორჯია - მოგების მაჩვენებლები:

მაჩვენებლები	2016	2017
მოგება რეალიზაციიდან	5 375 363	4 293 378
საოპერაციო მოგება	963 235	273 767
მოგება დაბეგვრამდე	1 954 867	1 949 210
წმინდა მოგება	2 197 331	1 961 863
გაუნაწილებელი მოგება	2 197 331	1 961 863

ცხრილში მოცემული მაჩვენებლები გამოთვლილია ზემოთ მოცემული ფორმულების მეშვეობით და აქედან გამომდინარე მოგების მაჩვენებლების მოკლე ანალიზი შემდეგია:

როგორც წესი, რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება არასაწარმოო (მარკეტინგისა და ადმინისტრაციული) ხარჯების გამოყენების არაეფექტიანობას და მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს სათანადო ღონისძიებები მმართველობით დანახარჯებში ეკონომიის მიღწევის მიზნით. როცა დასაბეგრი მოგების ზრდის ტემპი აღემატება რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპებს, ეს ნიშნავს, რომ საწარმოში გაიზარდა სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და მიღწეულია ეკონომია პერიოდის ხარჯებში.

წმინდა მოგების ზრდის ტემპი თუ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპებს, ეს ნიშნავს, რომ წმინდა მოგების დიდი ნაწილი დივიდენდების გასაცემად და რეზერვების შესაქმნელად იქნა გამოყენებული.

გაუნაწილებელი მოგების ზრდის მაღალი ტემპები იმაზე მიაჩვენებს, რომ საწარმოში არსებობს დივიდენდების გაცემის, წარმოების გაფართოების, მუშახელის დამატებითი დასაქმებისა და არსებული მუშახელის მატერიალური წახალისების ზრდის რეზერვები.

გამოთვლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთვალოთ, რომ აქტივების მომგებიანობა 2016 წელს შეადგენს 7.2 პროცენტს, 2017-ში 7.5%-ს. რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველ ერთ ლარ აქტივზე მოგება მოდის ასეთი პროცენტულობით. 2017-ში წინა წელთან შედარებით იზრდება პროცენტული წილი, რაც ასევე დადებით მოვლენად მიიჩნევა.

გამოყენებული კაპიტალის უკუგება შეადგენს 2016 წელს 0.12-ს, ხოლო 2017-ში - 0.13-ს. ამ მაჩვენებლის ზრდა მიუთითებს, რომ იზრდება კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა.

წარმოების მომგებიანობა 2016 წელს შეადგენს 5%-ს, 2017-ში 2%-ს. ანუ ისეთი აქტივების ეფექტიანობა, როგორცაა პროდუქციის წარმოების საშუალებები, მცირდება.

აქტივების ფინანსური რენტაბელობა: აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე 2016 წ. – 8%, 2017 წ. – 7.5% მოგება რჩება.

მარჯა, როგორც აღვნიშნეთ საწარმოს მდგომარეობის მაჩვენებელია ბაზარზე. ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე ემბავუდმა მიიღო 2016 წელს 25%, ხოლო 2017-ში 20%-იანი მოგება.

ფასნამატი - მოგება ყოველ ერთ ლარ დანახარჯზე 6% და 2%-ია, შესაბამისად, 2016 და 2017 წლებში.

NINS - გვიჩვენებს, რომ 2016 წელს რეალიზაციიდან მიღებული მოგების 41% დარჩათ საწარმოს მესაკუთრეებს, ხოლო 2017-ში - 50%. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს მმართველობის მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი მაღალია.

### **ფინანსური შედეგების ანალიზის მეთოდოლოგია.**

ფინანსური შედეგების ანალიზის მეთოდოლოგია შედგება შიგა და გარე ანალიზისგან. ამ ქვეთავში ორივეს განვიხილავთ ცალ-ცალკე და ვნახავთ თუ რა განასხვავებთ მათ ერთმანეთისგან და რა ეტაპებისგან შედგება მათი ანალიზი.

განხილვა დავიწყოთ **ფინანსური შედეგების გარე ანალიზით**, რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების უმთავრესი მუხლების დინამიკისა და მათი თანაფარდობის შესწავლა;
- ფინანსური შედეგების მაჩვენებელთა ცვლილებების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და საქმიანობის ეფექტიანობაზე მისი ზემოქმედების შეფასება;
- მომავალი პერიოდისთვის ფინანსური შედეგების პროგნოზირება.

მოგებისა და ზარალის ანგარიშებს საფუძველზე ფინანსური შედეგების **საერთო ანალიზი** გულისხმობს შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების მუხლების დინამიკისა (ჰორიზონტალური ანალიზი) და მათი თანაფარდობის (ვერტიკალური, ანუ სტრუქტურული ანალიზი) შესწავლას.

ზოგადად, ჰორიზონტალური ანალიზის ჩატარება გვაძლევს იმის შესაძლებლობას გავიგოთ, თუ რა წონა უკავია შემოსავლებსა და ხარჯებს ფინანსური შედეგების

მაჩვენებელთა ფორმირებაში, ცვლილებების მიზეზები, ხარჯებისა და შემოსავლების სტაბილურობა.

ხოლო ვერტიკალური ანუ სტრუქტურული ანალიზის ჩატარების დროს აუცილებელია შევაფასოთ ანგარიშების ცალკეული შემადგენელი ელემენტების ხვედრითი წონა და გაყიდვებიდან ამონაგების სიდიდეები.

საერთო მოგების ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთო მოგების ცვლილების, მაჩვენებლის როგორც პროცენტულ მნიშვნელობას, ისე მის აბსოლიტურ სიდიდეს. იმისათვის რომ, რაოდენობრივად შევაფასოთ საერთო მოგების სიდიდეზე რა გავლენას ახდენს გაყიდვების მოცულობა და საერთო მოგების მარჟა, იყენებენ ფორმულას:

$$M = V * \frac{M}{V}$$

სადაც M - საერთო მოგების სიდიდეა,

V - გაყიდვების მოცულობა (ამონაგები)

$\frac{M}{V}$  - კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს საერთო მოგების ამონაგებთან

თანაფარდობას.

საერთო მოგების სიდიდის ცვლილება გაყიდვების მოცულობის ცვლილების გავლენით, განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta M = (V_1 - V_0) * \frac{M}{V}$$

სადაც  $V_1$  და  $V_0$ - ამონაგების სიდიდეა საანგარიშგებო და საბაზისო პერიოდში.

ხოლო საერთო მოგების სიდიდის ცვლილება საერთო მოგების მარჟის ცვლილებით, გაიანგარიშება შემდგენაირად:

$$\Delta M = \left( \frac{M^1}{V^1} - \frac{M^0}{V^0} \right) * V_1$$

მოგების საერთო სიდიდეზე, ასევე, არსებით გავლენას ახდენს გაყიდვების რენტაბელობა, რომლის რეალურ სინამდვილეს გვიჩვენებს გაყიდვებიდან მიღებული მოგების თანაფარდობა ამონაგებთან. რადგან ეს მაჩვენებელი არ განიცდის იმ ელემენტების გავლენას, რომლებიც არ მიეკუთვნება გაყიდვებს და ამდენად, შესაძლებლობას იძლევა, საწარმოს ძირითადი საქმიანობის პროცესში ზუსტად შეფასდეს გაყიდვების მართვის ეფექტიანობა. იგი განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{გაყიდვების რენტაბელობა} = \sum_{i=1}^n R_i q_i$$

რაც შეეხება, გაყიდვებიდან მიღებული მოგების ანალიზს, იგი საერთო მოგების ანალიზის გარდა მოიცავს ასევე, კომერციული და მმართველობითი ხარჯების ანალიზს.

კომერციული ხარჯებია, ისეთი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის გასაღებასთან, ხოლო მმართველობითი ხარჯები ახასიათებს ფირმის საერთო-ადმინისტრაციული ხარჯების სიდიდეს.

$$\frac{\text{გაყიდვიდან მიღებული მოგება}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{საერთო მოგება}}{\text{ამონაგები}} - \frac{\text{კომერციული ხარჯები}}{\text{ამონაგები}} - \frac{\text{მმართველობითი ხარჯები}}{\text{ამონაგები}}$$

**დაბეგვრამდე მოგების ანალიზი** იგივე ბუღალტრული მოგებაა და მოიცავს გაყიდვებიდან მიღებული მოგების ანალიზის უკვე განხილულ საკითხებს და ასევე, სხვადასხვა შემოსავლებისა და ხარჯების შემადგენლობისა და სტრუქტურის ანალიზს.

$$\frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{მოგება გაყიდვებიდან}}{\text{ამონაგები}} + \frac{\text{სხვადასხვა შემოსავალი}}{\text{ამონაგები}} - \frac{\text{სხვადასხვა ხარჯი}}{\text{ამონაგები}}$$

მოგების ანალიზი დაბეგვრის შემდგომ (წმინდა მოგება) ამ ნაწილში წინა კომპონენტებს ემატება დაბეგვრის ფაქტორების გავლენაც და გარე ანალიზისას აქ იგულისხმება გადახდილი და გასახადის დინამიკის შესწავლა, დაბეგვრის განაკვეთის ეფექტიანობის შეფასება და დახასიათება, საგდასახადო ფაქტორის გავლენა წმინდა მოგებასა და რენტაბელობაზე.

დაბოლოს, რომ შევაჯამოთ ფინანსური შედეგების ანალიზმა უნდა მოიცავს ორი ძირითადი ეტაპი: პირველ ეტაპზე ანალიტიკოსს უნდა ჩამოუყალიბდეს მკაფიო

წარმოდგენა შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების პრინციპებზე, ხოლო მეორე ეტაპზე ტარდება უშუალოდ მათი ანალიზი.

### **ფინანსური შედეგების შიგა ანალიზი.**

ფინანსური შედეგების შიგა ანალიზი მიზანშეწონილია ჩატარდეს სამ ეტაპად:

პირველ ეტაპზე ფასდება საწარმოში მოქმედი სააღრიცხვო პრინციპები რა გავლენას ახდენს აქტივების, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების შეფასებაზე, ირკვევა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ფაქტები და მისი გავლენა ანალიზის შედეგებზე.

მეორე ეტაპზე ტარდება სიღრმისეული ანალიზი, ვლინდება საბოლოო ფინანსური შედეგების ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის მოზიდვით გამოიყოფა სტაბილური და შემთხვევითი ფაქტორები, რომლებიც პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით გამოააშკარავენ ინფორმაციას შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.

მესამე ეტაპზე ტარდება ფინანსური შედეგების პროგნოზული ანალიზი.

ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადი ყურადღება ეთმობა შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს, რადგან ისინი ფინანსური შედეგების შიგა ანალიზის არსებითი ბლოკია.

შემოსავლების ანალიზი შესაძლებელია გავაიგივოთ გაყიდვების ანალიზთან, რადგან ყველასთვის ცნობილია, ძირითადი შემოსავლის წყარო, სწორედ რომ, გაყიდვებია. გაყიდვების მოცულობა დამოკიდებულია, ბაზარზე კონკურენციის სწორ შეფასებაზე. ამიტომ ანალიზისათვის მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეიტანოს კონკურენტების, განსაკუთრებით ლიდერების საქმიანობის შესწავლამ. კომპანიის მუშაობის შედეგების შედარება კონკურენტების შედეგებთან, შესაძლებლობას იძლევა დროულად განხორციელდეს კომპანიის განვითარების სტრატეგიის კორექტირება, რათა წარმატებით განაგრძოს ოპერირება ბაზარზე. სწორედ, ამ შედარებითა ანალიზმა მიიღო ბენჩმარკინგის სახელწოდება. ამ მეთოდის არსია ის, რომ გავიგოთ თუ რა მაჩვენებლების გზით მიიღწევა წარმოების უფრო დიდი მოცულობა, რომელი



პროცესებია კონკურენტებთან შედარებით უკეთესად აწყობილი და განისაზღვრება, ასევე, კომპანიის სუსტი და ძლიერი მხარეები.

გაყიდვების ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს, ასევე, წარმოადგენს შეკვეთები რაოდენობიდან და სტრუქტურის რაციონალურობის შეფასება. თუ ამ ნაწილში არსებულ პრობლემას უყურადღებოდ დავტოვებთ, გაიზრდება საწარმოს ხარჯები.

იმისათვის, რომ საწარმომ მიიღოს მოგება ძირითადი საქმიანობიდან, მოხმარებული ნედლეულისა და მასალების ღირებულებას, პირდაპირ შრომით ხარჯებს, ზედნადებ ხარჯებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული თანაფარდობა გასაყიდ ფასთან. თუ საწარმოში არსებობს ხარჯების გაწვევის პრობლემები აუცილებელია ჩატარდეს მუხლობრივი ანალიზი მათი შემცირების რეზერვების გამოვლენის მიზნით. როდესაც ტარდება ხარჯების ღრმა ანალიზი, ისინი ჯგუფდება შემდეგი ნიშნების მიხედვით (ყველაზე გავრცელებული ნიშნები) :

- ეკონომიკური ელემენტები

აღნიშნული ანალიზი გვიჩვენებს რომელი საწარმოო რესურსები დაიხარჯა და რა პროპორციით მოხდა მათი მომხარება წარმოების პროცესში.

- დანახარჯთა საკალკულაციო მუხლები

ეს ანალიზი ახასიათებს პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების კავშირს წამოებასა და გასაღებაზე გაწულ შესაბამის ხარჯებთან. დანახარჯთა საკალკულაციო მუხლებია:

1. პირდაპირი მასალის ხარჯი;
2. პირდაპირი შრომითი ხარჯი;
3. საწარმოო ზედნადები ხარჯები;
4. მარკეტინგის ხარჯები
5. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი.

- დანახარჯთა დაჯგუფება წარმოქმნის ადგილის მიხედვით.

საწარმო კომპანიაში დანახარჯები წარმოქმნის ადგილი შიემღება იყოს ძირითადი და დამხმარე წამოების ქვედანაყოფები, კომერცილი და ადმინიტრაციულ-სამეურნეო სამსახური.

- პროცესების მიხედვით.

ამ დროს აუცილებელია გამოიყოს ისეთი ძირითადი ფაქტორები, როგორებიცაა: პროდუქციის თვითღირებულება, გასაყიდი პროდუქციის რაოდენობა, ფასი და მისი ასორტიმენტი.

აქვე აუცილებლად უნდა გავნიხილოთ მოგების ფაქტორული ანალიზი, რომელიც გულისხმობს საერთო მოგებაზე ექვსი ფაქტორის გავლენის არსებობას და ეს ფაქტორები შემდეგია:

- რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება;
- სასაქონლო პროდუქციაზე სარეალიზაციო ფასების ცვლილება;
- რეალიზებული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილება;
- პროდუქციის ერთეულზე რესურსების დანახარჯთა დონის ცვლილება;
- რესურსებზე ფასებისა და მომსახურებაზე ტარიფის ცვლილება;
- პროდუქციის თვითღირებულებაზე სტრუქტურული ძვრების ზეგავლენა.

## 1.2 კაპიტალდაბანდებისა და საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზი

იმისათვის, რომ შევაფასოთ კომპანია რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს, როგორია მათი საქმიანობის შედეგი, გამოიყენება შემოსავლიანობის სხვადასხვაგვარი მაჩვენებელი, რომლებსაც ერთმანეთისგან განასხვავებს გამოყენების მიზნები, გაანგარიშების მეთოდოლოგია და ინტერპრეტაცია. მაგრამ მაინც ამ მაჩვენებლებიდან ორი ძირითადის გამოიყოფა შესაძლებელი: კერძო და განმაზოგადებული მაჩვენებლები.

კერძოს შესაძლებელია მივაკუთნოთ: გაყიდვების რენტაბელობა ან დანახარჯების რენტაბელობა, ხოლო განმაზოგადებელს - კაპიტალდაბანდების მაჩვენებლები.

კერძო მაჩვენებელთა ჯგუფი გაიანგარიშება მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების შედარებით მის წარმოებასა და გასაღებაზე გაწეულ დანახარჯებთან, საშუალებას იძლევა შევაფასოთ გაყიდვების ეფექტიანობა.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობის დინამიკა დამოკიდებულია არა მარტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, არამედ საწარმოში გამოყენებული აღრიცხვის წარმოების პრინციპებზეც. სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებს, რომლებზეც დამოკიდებულია საწარმოს ფინანსური შედეგის სიდიდე, პირველ რიგში მიეკუთვნება:

- ძირითად საშუალებებზე ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის არჩევა
- მასალების შეფასების მეთოდის არჩევა
- ბრუნვისგარეშე აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა
- გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე ცალკეული სახეობის ხარჯების მიკუთვნების წესის არჩევა
- დანახარჯთა შემადგენლობის განსაზღვრა, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება კონკრეტული სახეობის პროდუქციის თვითღირებულებას
- არაპირდაპირი (ზედნადები) ხარჯების შემადგენლობის განსაზღვრა, მათი განაწილების მეთოდები და სხვა.

რაც შეეხება კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის მაჩვენებლებს, ისინი განისაზღვრება, როგორც განმაზოგადებელი მაჩვენებლები - ინდიკატორები. მათ ირჩევენ და იყენებენ, როგორც საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების უმთავრეს მაჩვენებლებს. ამ ჯგუფში შედის შემდეგი მაჩვენებლები:

- აქტივების რენტაბელობა (ROA)
- ინვესტიციების რენტაბელობა (ROI)
- გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა (ROCE)
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)
- აღნიშნული მაჩვენებლების მოდიფიკაციები

ანალიზის მეთოდის შემუშავებისას აუცილებელია განსაზღვრულ იქნეს, თუ რა მეთოდით უნდა მოხდეს არჩეული მაჩვენებლის გაანგარიშება და, ასევე, არჩეული მაჩვენებლის გაანგარიშების ალგორითმი, რადგან ამის გარეშე შესაძლებელია ინფორმაციის მომხამრებლები შევიდნენ შეცდომაში და ვერ განსაზღვრონ ბიზნესის რეალური ეფექტიანობა. განვიხილოთ თითოეული მაჩვენებელი ცალ-ცალკე.

შემოსავლიანობის რაოდენობრივი დახასიათებისათვის განმაზოგადებელ მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს კოეფიციენტი - აქტივების რენტაბელობა (ROA ან ROTA). ეკონომიკური შინაარსი - კომპანიის აქტივებში დაბანდებული ყოველი ლარიდან მიღებული უკუგება:

$$ROA = \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} * 100$$

არსებობს ურთიერთკავშირი აქტივების რენტაბელობის, აქტივების ბრუნვაობისა და გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლებს შორის, რაც გამოისახება ფორმულით:

$$\text{აქტივების რენტაბელობა} = \text{აქტივების ბრუნვაობა} \times \text{გაყიდვების რენტაბელობა}$$

აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: ერთი მხრივ, გაყიდვების რენტაბელობის მაღალი დონე ჯერ კიდევ არ ნიშნავს კომპანიაში მთლიანად გამოყენებული კაპიტალის მაღალ უკუგებას, მეორე მხრივ გაყიდვებიდან მიღებულ მთლიან ამონაგებში წმინდა მოგების უმნიშვნელო ხვედრითი წონა არ მიგვანიშნებს საწარმოს აქტივებში დაბანდებების დაბალ რენტაბელობაზე.

ინვესტიციების შეფასების ტრადიციული ხერხია ინვესტიციების რენტაბელობა (ROI), რომლის გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$ROI = \frac{\text{საოპერაციო მოგება დაბეგვრის შემდეგ (NOPAT)}}{\text{აქტივები}} * 100\%$$

ასევე არსებობს მეორე ფორმულა, რომელიც ზემოთ მოცემული ფორმულისგან იმით განსხვავდება, რომ მნიშვნელოვანი კორექტირებულა კრედიტორული დავალიანების სიდიდით: მომწოდებლების, ბიუჯეტის, პერსონალის და სხვების წინაშე (არა ბანკების):

$$ROI = \frac{\text{საოპერაციო მოგება დაბეგვრის შემდეგ (NOPAT)}}{\text{აქტივები - კრედიტორული დავალიანებები}} * 100\%$$

ასეთი მიდგომა ფართო გავრცელებას ღებულობს ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკაში.

გარე მომხმარებლებს, რომლებსაც არ აქვთ ინფორმაცია NOPAT-ის მაჩვენებლის გასაანგარიშებლად, იყენებენ შემდეგ ფორმულას:

$$ROI = \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ნასესხებ საშუალებებზე პროცენტის თანხა} * (1 - T)}{\text{აქტივები - კრედიტორული დავალიანებები}} * 100\%$$

გამოყენებული კაპიტალი რენტაბელობის (ROCE) გაანგარიშების მეთოდიკა ახლოსაა წინა ორი მაჩვენებლის გაანგარიშებებთან და მისი ყველაზე გავრცელებული ფორმულაა:

$$ROCE = \frac{\text{საოპერაციო მოგება დაბეგვრის შემდეგ (NOPAT)}}{\text{აქტივები - მოკლევადიანი ვალდებულებები}} * 100\%$$

კაპიტალის ინვესტორები საშუალებებს აბანდებენ საწარმოში იმ მიზნით, რომ მიიღონ მოგება ინვესტიციებზე, ამიტომ აქციონერების თვალაზრისით, დაბანდებული საშუალებების ეფექტიანობის შესაფასებლად უმთავრესია მოგების მიღება დაბანდებულ კაპიტალში. მოგების მაჩვენებელს აქციონერების (მესაკუთრეების) მიერ დაბანდებულ კაპიტალზე საკუთარი კაპიტალის რენტაბელობას (ROE) უწოდებენ, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} * 100\%$$

ეს მაჩვენებელი წარმოადგენს განმაზოგადებელ მაჩვენებელს, რომელიც კომპლექსურად ახასიათებს კომპანიის საქამინობის ეფექტიანობას, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაფინანსების არჩეულ სტრუქტურაზე და ასევე, მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების ღირებულებაზე.

ამ მაჩვენებლის ანალიზის პრაქტიკაში მიღებულია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

$$ROE = \frac{\text{მოგება}}{\text{ამონაგები}} * \frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივები}} * \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

სადაც, პირველი ორი ფაქტორის ნამრავლი ახასიათებს აქტივების რენტაბელობის სიდიდეს (ROA), მესამე კი ითვალისწინებს დაფინანსების წყაროების სტრუქტურას.

სწორედ, ROE-ს, მოზიდული ნასესხები საშუალებების ღირებულებასა და ინვესტირების რენტაბელობის მაჩვენებელს შორის ურთიერთკავშირი აისახება შემდეგ ცნობილ თანაფარობაში:

$$ROE = ROI + \frac{D}{E} (ROI - r^d)$$

სადაც ROE - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა

D - ნასესხები კაპიტალის სიდიდე

$r^d$  - ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი

აღნიშნული თანაფარდობა განსაზღვრავს ნასესხები საშუალებების მოზიდვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის ზღვარს. არსი მდგომარეობს იმაში, რომ მანამ, სანამ ROI-ის მაჩვენებლის სიდიდე მაღალია ნასესხების საშუალებების მოზიდვის განაკვეთზე, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა გაიზრდება უფრო სწრაფად, რაც უფრო მაღალია ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონა. ამის პარალელურად მოგების უფრო მეტი ნაწილი მიემართება პროცენტის ასანაზღაურებლად, ყოველივე ამან არახელსაყრელი კონიუქტურის შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოს ROI-ის დაცემა, რაც თავის მხრივ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დაცემას გამოიწვევს. ფორმულიდან გამომდინარეობს:

თუ  $ROI < r^d$ , მაშინ  $ROE < ROI$

თუ  $ROI = r^d$ , მაშინ  $ROE = ROI$

თუ  $ROI > r^d$ , მაშინ  $ROE > ROI$

რეალურ ცხოვრებაში შესაძლოა რთულ სიტუაციებს წავაწყდეთ, კერძოდ ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის ზრდის შესაბამისად მაღლდება კრედიტორის რისკი, რაც ნიშნავს ნასესხებ საშუალებებზე ფასების მომატებას, მასში რისკისათვის საპროცენტო განაკვეთების ჩართვით. ასეთ პირობებში, ფინანსური ბერკეტის დადებითი ეფექტის უზრუნველსაყოფად საწარმო იძულებულია გაზარდოს ROI-ის მაჩვენებელი იმისათვის, რომ მან გადააჭარბოს ფასს ნასესხებ კაპიტალზე. სხვა შემთხვევაში ROE-ს სიდიდე დაიწყებს დაცემას.

ფინანსური ბერკეტის დადებითი ეფექტი პრაქტიკაში ხშირად იწვევს მისწრაფებას, გაზარდონ ROE-ს მაჩვენებლები ნასესხები კაპიტალის დამატებითი მოზიდვის გზით, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა კომპანიაში ROE-ს მაჩვენებლები აყვანილია განმაზოგადებელ ხარისხში. ამ დროს ისმება საკითხი საწარმოს გადახდისუნარიანობისთვის უსაფრთხო მოზიდული ნასესხები კაპიტალის მოცულობის დასაბუთებულობის შესახებ. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია შევავსოთ ნასესხები საშუალებების მოზიდვის სხვადასხვა ვარიანტი.

აქვე განვიხილოთ ფაქტორული ანალიზისათვის სააქციო კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი, რომელიც დიუპონტის ხუთ ფაქტორიანი მოდელის სახით არის ცნობილი (DuPont– იყო მსხვილი კომპანია, რომლის მენეჯმენტმა პირველად გამოიყენა ეს მოდელი). ფორმულა კი შემდეგია:

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{წლიური მოგება}} * \frac{\text{წლიური მოგება}}{\text{მოგება \% - მდე}} * \frac{\text{მოგება \% - მდე}}{\text{წლ. შემოსავალი}} * \frac{\text{წლ. შემოსავალი}}{\text{აქტივები}} * \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

მოგება %-მდე - არის მოგება პროცენტის ხარჯის გამოქვითვამდე ანუ საოპერაციო მოგება. ხოლო, აქტივები და სააქციო კაპიტალი აიღება საშუალო ნაშთის სახით ბუღალტრული ბალანსიდან.

ამ ტოლობის მიხედვით შეიძლება სააქციო კაპიტალის გადახრაზე მოქმედი ხუთი ფაქტორის ცვლილების გავლენის გაზომვა, როგორცაა:

პირველი ფაქტორი: წმინდა მოგების წილი დასაბეგრი მოგების მიმართ. რაც უფრო მაღალი იქნება ეს მაჩვენებელი, მით მეტი იქნება სააქციო კაპიტალის ფინანსური რენტაბელობა, რაც განსაკუთრებით მესაკუთრეებს და პერსონალსაც აინტერესებთ;

მეორე ფაქტორი - დასაბეგრი მოგების წილი პროცენტის გამოქვითამდე არსებული მოგების მიმართ. ეს კოეფიციენტი რაც უფრო გაიზრდება წინა პერიოდთან შედარებით, ნიშნავს რომ საპროცენტო ხარჯები მცირდება და მომგებიანობა იზრდება;

მესამე ფაქტორია საოპერაციო მოგების ნორმა;

მეოთხე ფაქტორი არსებითად აჩვენებს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს. ანუ, მთელი ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერ გადაიქცევა თავისუფალ ფულად საშაულებად. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა რაც უფრო დაჩქარდება, მით უფრო აქტიურია ბიზნესი და უზრუნველყოფს მეტ მომგებიანობას. გამოთვლებში აქტივები და სააქციო კაპიტალი აიღება წლის ბოლოს მდგომარეობით.

მეხუთე ფაქტორ-მაჩვენებელია სააქციო კაპიტალის დატვირთვის კოეფიციენტი ანუ აქციონერების მიერ დაბანდებულ ყოველ ერთ ლარს, რამდენი ლარია ავანსირებული მთლიან რესურსებში.

ეს მოდელი შეიძლება ინფორმაციის გარე მომხმარებლებმაც გამოიყენონ საწარმოების შედარებითი დახასიათებისათვის, რადგან მაჩვენებლები მთლიანად ფინანსური ანგარიშგებიდან აიღება.

### **1.3 მისაღები გადაწყვეტილების ანალიზი „მოცულობა-ხარჯები-მოგების“ ურთიერთკავშირის ანალიზი (CVP-ს ანალიზი)**

ნაშრომის ეს ნაწილი დავიწყოთ უშუალოდ ძირითადი ცნებების ეკონომიკური განმარტებებით.



მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ წყდება მეცნიერული კამათი მოგების არსისა და ფორმების შესახებ, არსებითი განსხვავება მის ფორმირებისა და გაანგარიშების შესახებ არ არსებობს. ბასს-ით განსაზღვრულია მოგებისა და ასევე ზარალის განსაზღვრის კონცეფციები, რომლის მიხედვითაც უნდა მოახდინოს ანალიტიკოსმა ამ მაჩვენებლების შესწავლა.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას საწარმოთა უმრავლესობა იყენებს კაპიტალის ფინანსურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა აქტივების ფულადი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი განაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდგომ.

ხარჯი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით.

წარმოების ყველა ხარჯი პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ცვალებადი ხარჯები, რომლებიც იცვლება საქმიანობის მასშტაბების პროპორციულად და მუდმივი ხარჯები, რომელიც, როგორც წესი, სტაბილურად რჩება საქმიანობის მასშტაბების ცვლილებისას.

ცვალებად ხარჯებს მიეკუთვნება პირდაპირი მატერიალური ხარჯები და პირდაპირი შრომითი ხარჯები. გარდა ამისა ცვალებად ხარჯებს გარკვეულ პირობებში შეიძლება მიეკუთვნოს დასაწყობების ხარჯები, დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები, შეფუთვისა და ტრასპორტირების ხარჯები.

ითვლება, რომ ცვალებადი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით რჩება მუდმივ სიდიდედ. მას ხშირად უწოდებენ ხვედრით ცვალებად ხარჯებს, ან ცვალებადი ხარჯის განაკვეთს.

მუდმივ ხარჯებს მიაკუთვნებენ ადმინისტრაციულ მმართველობით ხარჯებს, დროით ხელფასს, ამორტიზაციის ანარიცხებს, პროდუქციის გაყიდვასთან, ბაზრის გამოკვლევასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სხვა მმართველობით, კომერციულ და საერთო სამეურნეო ხარჯებს.

მუდმივი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით მცირდება გამოშვებული პროდუქციის ზრდის შესაბამისად.

ასევე, გამოყოფენ ე.წ. პირობით-ცვალებად ხარჯებს. ისინი დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე, მაგრამ ეს დამოკიდებულება არ წარმოადგენს პირდაპირ პროპორციულს. ეს ხარჯები შერეული სახით წარმოგვიდგება.

წარმოებისა და გაყიდვების მოცულობაზე დამოკიდებულების მიხედვით, ხარჯების კლასიფიკაციის უმთავრეს პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენს მოგების პროგნოზირება გათვალისწინებული ხარჯებიდან გამომდინარე. საქმიანობაში გაყიდვების მოცულობის განსაზღვრა უზრუნველყოფს უზარალო საქმიანობას.

თანაფარდობის- „დანახარჯები-მოცულობა-მოგება“, უმთავრეს მაჩვენებელს წარმოადგენს პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული ამონაგების სიდიდე ცვალებადი ხარჯების გამოკლებით. აღნიშნულმა მაჩვენებელმა მიიღო ზღვრული შემოსავლის სახელწოდება და წარმოადგენს მნიშვნელოვან პარამეტრს მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასებისას. ზღვრული შემოსავალი არის თანხა, რომელიც რჩება პროდუქციის (ამონაგების) ღირებულებაში უშუალოდ წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული - ცვლადი ხარჯების გამოქვითვის შემდგომ. მისი გადაჭარბება მუდმივ ხარჯებზე უზრუნველყოფს მოგების მიღებას. გვაქვს შემდეგი თანაფარდობები:

ზღვრული შემოსავალი < მუდმივი ხარჯები = > ზარალი

ზღვრული შემოსავალი = მუდმივი ხარჯები = > წაუგებლობა

ზღვრული შემოსავალი > მუდმივი ხარჯები = > მოგება

## წაუგებლობის ანალიზი.

ამონაგების იმ სიდიდეს, რომელის მიღებისას კომპანია შეძლებს დაფაროს თავისი ხარჯები, ისე, რო არ მიიღოს მოგება, უწოდებენ გაყიდვების კრიტიკულ მნიშვნელობას (წაუგებლობის წერტილს). არსებობს ფორმულა:

$$S = V + F$$

სადაც S გაყიდვების მოცულობაა ღირებულებათა გამოსახულებაში

V ცვალებადი ხარჯები

F მუდმივი ხარჯები

გაყიდვების კრიტიკული მოცულობის გაანგარიშების ფორმულა:

$$Q = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{ზღვრული შემოსავალი პროდუქციის ერთეულზე}}$$

სადაც Q - გაყიდვების კრიტიკული მოცულობაა ნატურალურ გამოსახულებაში

თუ პროდუქციის ერთეულზე მონაცემები არ არსებობს, მაშინ ვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$S = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{კოეფიციენტი } C/S}$$

სადაც S - გაყიდვების კრიტიკული მოცულობაა ღირებულებით გამოსახულებაში

C/S - ზღვრული შემოსავლის თანაფარდობა ამონაგებთან გამოსახული პროცენტებში.

განვიხილოთ ჩვენი საწარმოს მაგალითი, შპს „ემბავუდ ჯორჯია“ ახორციელებს ლეიბების, რბილი ავეჯის და პანელური ავეჯის წარმოებას და დავუშვათ, რომ ის უშვებს ერთი დასახელების პროდუქციას, საანალიზო პერიოდში პროდუქციის ერთეულზე ფასი მუდმივია და შეადგენს 80 ლარს. პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი ხარჯი კი 40 ლარია. მუდმივი დანახარჯების მთლიანი სიდიდე შეადგენს

80 000 ლარს. ჩვენი დავალება კი არის ის, რომ გავარკვიოთ გაყიდვების რა მოცულობა იქნება კრიტიკული?


$$Q = \frac{80\,000}{(80 - 40)} = 2\,000 \text{ ერთეული}$$

ე.ი 2 000 ერთეული პროდუქციის გაყიდვის შემთხვევაში დაფარული იქნება ყველა ხარჯი და მიღწეული იქნება წაუგებლობა.

C/S-კოეფიციენტი 0,5-ის ტოლია. შესაბამისად გაყიდვების კრიტიკული მოცულობა ღირებულებით გამოსახულებაში იქნება:

$$S = \frac{80\,000}{0,5} = 160\,000 \text{ ლარი}$$


იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი მოგების მიღება, აუცილებელია შევინარჩუნოთ განსაზღვრული თანაფარდობა ზღვრული შემოსავლისა ამონაგებთან.



გრაფიკი 1.3.1 წაუგებლობის გრაფიკი

გადაკვეთის წერტილში მიღწეულია წაუგებლობის მდგომარეობა.

მომდევნო გრაფიკი უფრო თვალსაჩინოდ ასახავს გაყიდვების მოცულობის გავლენას ფინანსურ შედეგზე. წაუგებლობის წერტილი იმყოფება მოგებისა და გაყიდვების მოცულობის გადაკვეთის წერტილში (2000 ერთეული).



გრაფიკი 1.3.2 ფინანსური შედეგი წარმოებისა და გაყიდვების მოცულობაზე დამოკიდებულების გრაფიკი

კრიტიკულ მოცულობაზე უფრო ნაკლები მოცულობის გაყიდვის პირობებში საწარმო ვერ დაფარავს მთლიან დანახარჯებს და მიიღებს ზარალს. ხოლო თუ კრიტიკულ მოცულობაზე უფრო მეტს გაყიდის კომპანიის საქმიანობა ხდება მომგებიანი. საანალიზო პერიოდში, რაც უფრო ადრე მიიღწევა ეს გადაჭარბება, მით უფრო მეტი იქნება მოგების სიდიდე და პირიქით, რაც ახლოსაა პერიოდის ბოლოსთან ეს მოვლენა, მით უფრო ნაკლები იქნება მოგება.

ჩვენი საწარმოს შემთხვევაში, გაყიდვების მოცულობის წერტილში, რომელიც 2000 ერთეულია, მთლიანი ზღვრული შემოსავლის სიდიდე აწონასწორებს მუდმივი დანახარჯების სიდიდეს. 2000 ერთეულს ზემოთ ყოველი დამატებითი ერთეულის გაყიდვისას გვექნება მოგება 40 ლარი (80 – 40). ანუ წაუგებლობის წერტილის გავლის შემდეგ, ზღვრული შემოსავალი ყოველი დამატებით გაყიდული პროდუქციიდან შეესაბამება მათ მიერ მოტანილი მოგების სიდიდეს.

**სასურველი მოგების შესაბამისი გაყიდვების მოცულობის ანალიზი.**

იგი ე.წ. მომგებიანობის ანალიზია და წარმოადგენს წაუგებლობის ანალიზის ლოგიკურ გაგრძელებას, ეს ანალიზი გვამღვეს იმის შესაძლებლობას, გავიგოთ გაყიდვების რა მოცულობაა საკმარისი, რომ ხარჯების დაფარვასთან ერთად მიღებულ იქნას მოგებაც. ფორმულები:

$$Q = \frac{\text{მუდმივი ხარჯები} + \text{სასურველი (გეგმიური, აუცილებელი მოგება)}}{\text{ზღვრული შემოსავალი ერთეულ პროდუქტზე}}$$

$$S = \frac{\text{მუდმივი ხარჯები} + \text{სასურველი (გეგმიური მოგება)}}{\text{კოეფიციენტი } C/S}$$

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რამდენადა ახლოსაა გაყიდვების რეალური მოცულობა მის კრიტიკულ მოცულობასთან, საჭიროა გამოვიყენოთ უსაფრთხოების დიაპაზონის ანალიზის ფორმულა:

$$\frac{\text{გაყიდვების ფაქტორული მოცულობა} - \text{გაყიდვების კრიტიკული მოცულობა}}{\text{გაყიდვების ფაქტორული მოცულობა}} * 100\%$$

**გაყიდვების კრიტიკული მოცულობის ფაქტორული ანალიზი.**

გაყიდვების კრიტიკული მოცულობის სიდიდეზე გავლენას ახდენს პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯის ცვლილება (V), მუდმივი დანახარჯების სიდიდე (F) და პროდუქციაზე გასაყიდი ფასის ცვლილება (P). შესაბამისად, გაყიდვების კრიტიკული მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$Q = \frac{F}{P - V}$$

გაყიდვების კრიტიკულ მოცულობაზე გავლენას ახდენს მუდმივი და ცვალებადი ხარჯები, მუდმივი დანახარჯების ცვლილების გავლენა შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ფორმულით:

$$\Delta Q_F = \frac{F^1}{P - V} - \frac{F^0}{P - V} = \frac{\Delta F}{P - V}$$

ცვალებადი ხარჯების ცვლილების გავლენა განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta Q_V = F \left( \frac{1}{P - V^1} - \frac{1}{P - V^0} \right)$$

სადაც  $V^1$  და  $V^0$  - პროდუქციის ერთეულზე საპროგნოზო და მიმდინარე ცვალებადი ხარჯებია.

გაყიდვების კრიტიკულ მოცულობაზე უშუალო გავლენას ახდენს პროდუქციაზე გასაყიდი ფასის ცვლილება, რომელიც გავლენას არა მარტო უახლეს საწარმოს საქმიანობის უახლეს ფინანსურ შედეგზე ახდენს, არამედ შეუძლია გავლენა შორეულ მომავალში პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე.

გაყიდვების მოცულობაზე ფასების ცვლილების ანალიზისას წარმოიქმნება აქტუალური პრობლემა - ფასდათმობის პროცენტის დასაბუთება. ფასდაკლების კომპენსირება კი ძირითადად უნდა მოახდინონ დამატებითი მოცულობის გაყიდვებით.

გაყიდვების აუცილებელი ნაზრდი სიდიდე, რომელიც მოგვცემს საშუალებას შევინარჩუნოთ ადრინდელი ოდენობით მოგება ფასდათმობის პირობებში, გაიანგარიშება ფორმულთ:

$$\text{გაყიდვების მოცულობის ზრდა, \%} = \frac{d}{100 - \frac{V}{P} - d} * 100\%$$

სადაც d - ფასდათმობის განაკვეთია

P - ფასი ფასდათმობამდე

V/P - ცვალებადი ხარჯის პროცენტული თანაფარდობა ფასთან (ანუ ცვალებადი ხარჯის ხვედრითი წონა ამონაგებში, გამოსახული პროცენტებში)

მას შემდეგ, რაც გაირკვევა გაყიდვების ის მოცულობა, რომელიც აუცილებელი იქნება დამატებითი ხარჯების ან ფასიდან პროგნოზული ფასდათმობის დასაფარავად, მიზანშეწონილია შეფასდეს მოცუბულ საწარმოში გაყიდვების გაზრდის შესაძლებლობა. ამ მიზნით შესწავლილი უნდა იქნას გაყიდვების დინამიკა კომპანიაში, ბაზრის ტევადობა, ასევე უნდა შეფასდეს მოთხოვნა პროდუქციაზე.

ასევე აუცილებელია გვახსოვდეს, რომ გაყიდვების ზრდა ავტომატურად გამოიწვევს საბრუნავი კაპიტალის ზრდას, რაც თავის მხრივ, აამაღლებს დაფინანსების წყაროებზე მოთხოვნილებას. ანუ გაყიდვების მოცულობის ზრდის ნებისმიერი პროგნოზი, აუცილებელს ხდის ჩატარდეს ფულადი ნაკადის პროგნოზული ანალიზი, რაც

შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ფულადი საშუალებების დეფიციტის წარმოქმნის რისკი.

აქამდე განხილული იყო ერთი დასახელების პროდუქციის წარმოება და გაყიდვა, თუმცა უფრო რეალური მოდელი არის ფართო ნომენკლატურის პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებული საწარმო. ასეთ დროს კრიტიკული მოცულობის გაანგარიშება პრინციპულად არ იცვლება და ხორციელდება ფორმულით:

$$S = \sum_{i=1}^n q_i(P_i - V_i) - F$$

სადაც  $q_i$  -  $i$ -ური სახეობის გასაყიდი პროდუქციის რაოდენობაა (ერთეულებში)

$P_i$  -  $i$ -ური დასახელების პროდუქციის ერთეულის ფასი

$V_i$  -  $i$ -ური დასახელების პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი ხარჯი

$i=1, \dots, n$  - გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა

ასეთ მრავალნომენკლატურიანი გამოშვების პირობებში, კრიტიკული მოცულობის გაანგარიშებისათვის ღირებულებით გამოსახულებაში გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$S = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{საშუალო შეწონილი კოეფიციენტი} \left(\frac{C}{S}\right)}$$

საწარმოს მასშტაბით საშუალო შეწონილი კოეფიციენტების განსაზღვრისთვის აუცილებელია ჩავატაროთ გაანგარიშებები პროდუქციის ცალკეული სახეობის მიხედვით და იგი საწარმოს მასშტაბით შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$\frac{C}{S} = \sum_{i=1}^n \frac{P_i - V_i}{P_i} * W_i$$

სადაც  $P_i$  -  $i$ -ური სახეობის პროდუქციის ფასია

$V_i$  -  $i$ -ური სახეობის პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით ცვალებადი ხარჯი

$W_i$  -  $i$ -ური სახეობის პროდუქციის ხვედრითი წონა გაყიდვების მთლიან



## მოცულობაში

n – გამოსაშვები პროდუქციის სახეობების რაოდენობა

მიზნობრივი მოგების მისაღებად გაყიდვების მოცულობის გასაანგარიშებელი ფორმულა შემდეგია:

$$S = \frac{\text{მუდმივი ხარჯები} + \text{მიზნობრივი მოგება}}{\text{საშუალო შეწონილი კოეფიციენტი} \left(\frac{C}{S}\right)}$$

გამოთვლილი საშუალო შეწონილი კოეფიციენტის (C/S)-ის დახმარებით შეიძლება შევაფასოთ ზღვრული შემოსავლის მოსალოდნელი (გეგმიური) სიდიდე (C). ამისათვის აუცილებელია გაყიდვების გეგმიური მოცულობა (S) გავამრავლოთ მიღებული კოეფიციენტის სიდიდეზე C/S:

$$C = S * C/S$$

როცა მუდმივი ხარჯები დაიფარება წარმოიქმნება მოგება გაყიდვებიდან(P):

$$P = C - F$$

სადაც F - საწარმოს მუდმივი ხარჯებია საანალიზო პერიოდში.

### ანალიზი შემზღვევლი ფაქტორების პირობებში.

თუ პროდუქციის მოთხოვნა აჭარბებს ფირმის საწარმოო შესაძლებლობებს, მაშინ აუცილებელია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს წარმოებას, ხოლო შემდგომ მათი მოქმედების გათვალისწინებით ჩავატაროთ „მოცულობა-დანახარჯები-მოგების“ ურთიერთკავშირის ანალიზი.

ასეთ დროს აუცილებელია განისაზღვროს ზღვრული შემოსავალი, რომელიც მოდის შემზღვევლი ფაქტორის ერთეულზე, ხოლო შემდგომ მის საფუძველზე, სხვა უცვლელ გარემოებათა პირობებში დავადგინოთ თუ რომელი სახეობის პროდუქციის წარმოებაა უფრო პრიორიტეტული.

CVP ანალიზის საფუძველზე მისაღები გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისას აუცილებელია დაცული იქნეს უმთავრესი პრინციპი - რელევანტურობის პრინციპი.

მისი არსი ის არის, რომ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის შემოსავლები და ხარჯები, რაც დაკავშირებულია მოცემულ გადაწყვეტილებასთან, შესაბამისად, რასაც ადგილი ექნება მომავალში. შემოსავლები და ხარჯები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში ან წარმოიქმნება მომავალში მოცემული გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად, მიეკუთვნება არარელევანტურს და გათვლებისას მხედველობაში არ მიიღება.

### **საოპერაციო ბერკეტის ეფექტი.**

საოპერაციო ბერკეტს საფუძვლად უდევს საწარმოს ფინანსურ შედეგებთან ცვალებადი და მუდმივი ხარჯების თანაფარდობის გავლენის მექანიზმი. მუდმივი ხარჯების არსებობა იწვევს იმას, რომ მოგების ცვლილება ამონაგებთან შედარებით მიმდინარეობს წინმსწრები ტემპით. ამასთან, მოგების ცვლილების დამოკიდებულება გაყიდვების მოცულობის ცვლილებაზე იქნება მით უფრო მაღალი, რაც უფრო მაღალია მუდმივი ხარჯების ხვედრითი წონა საწარმოს მთლიანი ხარჯების შემადგენლობაში.

საოპერაციო ბერკეტის კოეფიციენტის ფორმულა შემდეგია:

$$K_{\text{საოპერაციო ბერკეტი}} = \frac{\text{გაყიდვებიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი (საოპერაციო), \%}{\text{ამონაგების ზრდის ტემპი, \%}}$$

საოპერაციო ბერკეტის ეფექტის გავლენა დამოკიდებულია ცვალებადი და მუდმივი ხარჯების თანაფარდობაზე. ამასთან, გავლენა შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი გავლენა კი მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ მიღწეული გაყიდვების მოცულობით დაიფარება მუდმივი ხარჯები, ე.ი გაყიდვების კრიტიკული მოცულობა.

ამასთან, წაუგებლობის მდგომარეობა მიიღწევა უფრო სწრაფად იმ კომპანიაში, რომელშიც უფრო მაღალია ცვალებადი ხარჯების ხვედრითი წონა, ხოლო კრიტიკული მოცულობის მიღწევის შემდეგ მოგება უფრო სწრაფი ტემპით იზრდება იმ კომპანიაში, რომელშიც უფრო მაღალია მუდმივი ხარჯების ხვედრითი წონა.

რაც შეეხება უარყოფით ეფექტს - მოგების შემცირებისას მოგება მით უფრო სწრაფი ტემპით ეცემა, რაც უფრო მაღალია მუდმივი ხარჯების ხვედრითი წონა.

## წაუგებლობის ანალიზის დაშვებები.

ხერხები რომელიც ზემოთ განვიხილეთ საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ გადაწყვეტილებები გამოსაშვები პროდუქციის ასრტიმენტსა და სტრუქტურასთან, გაყიდვების მოცულობასა და მოგებასთან, მისაღებ ფასებთან მიმართებით. ასევე მიდგომა, რომელიც მუდმივ და ცვალებად დანახარჯებს ყოფს, ეფუძნება გარკვეულ დაშვებებს, ისე როგორც ნებისმიერი ეკონომიკური მოდელი. ასეთი დაშვების მოდელის გაგება მოდელის ადაპტაციის შესაძლებლობას იძლევა, რაც ხდის მას პრაქტიკულსა და გამოყენებადს ნებისმიერი პირობების დროს.

ძირითად დაშვებებს მიეკუთვნება:

1. მუდმივად და ცვალებადად ხარჯების დაყოფის სტაბილურობა.
2. გაყიდვების სხვადასხვა მოცულობის პირობებში პროდუქციაზე ფასების სტაბილურობა
3. გასაყიდი პროდუქციის ასორტიმენტისა და სტრუქტურის სტაბილურობა.
4. წარმოების მოცულობისა და გაყიდვების მოცულობის გაიგივება.
5. წაუგებლობის ერთი წერტილის არსებობა.

მისაღები გადაწყვეტილებების ანალიზისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ:

- დანახარჯთა სტრუქტურაზე, ასევე ცვალებადი და მუდმივი ხარჯების შემადგენლობაზე;
- ამონაგებში ცვალებადი და მუდმივი ხარჯების ხვედრით წონაზე;
- ე.წ. შერეულ ხარჯებზე, რაც თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს მუდმივ და ცვალებად ხარჯებად (რისთვისაც საჭიროა არსებობდეს ყოველთვისური ინფორმაცია ასეთი ხარჯების სიდიდეებზე გასულ პერიოდში და მონაცემები წარმოების მოცულობის შესახებ იმავე პერიოდში);
- მუდმივი ხარჯების ეკონომიის შესაძლებლობები დამატებითი შეკვეთების მიღებისას.

## თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის საკითხები

### 2.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, დადებით გავლენას ახდენს საწარმოო გეგმების შესრულებასა და საწარმოს აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაზე. ფინანსური მდგომარეობა საწარმოს სტაბილურობის საფუძველია. საწარმოს ასეთი მდგომარეობა გარანტირებულ გადახდისუნარიანობაზე მიუთითებს, არ დაიშვება გაუმართლებელი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, დადგენილ ვადებში იფარება ვალდებულებები. ასევე, დგინდება რამდენად დამოუკიდებელია საწარმო ფინანსური თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის დროს ფინანსური რესურსების განაწილება და გამოყენება ხდება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოს განვითარება მოგებისა და კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შენარჩუნებით.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია შიდა და გარე ფაქტორებად დაჯგუფება.

გადავიდეთ, უშუალოდ, ფინანსური მდგომარეობის შეფასების განხილვაზე. ამისათვის გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის ოთხი ტიპი:

1. აბსოლიტური მდგრადი ფინანსური მდგომარეობა
2. ნორმალური მდგრადი ფინანსური მდგომარეობა
3. არამდგრადი (წინაკრიზისული) ფინანსური მდგომარეობა
4. კრიზისული ფინანსური მდგომარეობა (გაკოტრების ზღვარი)

აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანად არის უზრუნველყოფილი მარაგები და დანახარჯები, რაც ასეთი თანაფარდობით გამოიხატება:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე

აღნიშნული თანაფარდობა იშვიათად შეიძლება არსებობდეს და არც შეიძლება იდეალურ მაჩვენებლად ჩაითვალოს, რადგანაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს მენეჯმენტს არ აქვს უნარი, არ სურს ან არ შეუძლია გამოიყენოს გარე სახსრები ძირითადი საქმიანობისათვის. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ ფასეულობებში მინიმუმ 50% უნდა იყოს.

**ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს** მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები წყაროებით, რაც ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება გამოისახოს:

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“

ამ შემთხვევაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს. მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების ქვეშ იგულისხმება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობა.

**არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს** მარაგების და დანახარჯების დაფარვა ხდება არა მხოლოდ დაფარვის „ნორმალური“ წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები წყაროების, ე.ი. ყველა წყაროს ხარჯზე. ამ დროს საწარმო იძულებულია ყველა სახის სესხი აიღოს მარაგების შესაძენად. აღნიშნული მდგომარეობა შემდეგი სახით გამოისახება:

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“

**კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობის დროს** საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების წყაროებით. საწარმო გაკოტრების ზღვარზე იმყოფება. ამ დროს საწარმოს გააჩნია ვადაზე გადაუხდელი კრედიტორული დავალიანებები და სესხები, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დამოკიდებულია დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე. ასეთი სიტუაციის ქრონიკული განმეორების შემთხვევაში საწარმო გაკოტრებულად უნდა გამოცხადდეს.

ასეთ დროს ფინანსური მდგრადობა შეიძლება აღდგენილ იქნეს:

ა) მიმდინარე აქტივებში კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით, რომლის შედეგად მიიღწევა მისი შეფარდებითი შემცირება ერთი ლარის საქმონელბრუნვაზე;

ბ) მარაგებისა და ხარჯების დასაბუთებული შემცირება

გ) საკუთარი საბრუნავი ჯაპიტალის შევსება შიდა და გარე წყაროების ხარჯზე.

ცხრილი 2.1.1. შპს „ემზავუდ ჯორჯია“-ს ფინანსური მდგრადობის მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები

№	მაჩვენებლები	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	ცვლილება	
					2016	2017
1	ძირითადი საშუალებები (ბრუნვისგარეშე აქტივები) და არამატერიალური აქტივები	10,696,910	9,211,006	7,625,467	-1,485,904	-1,585,539
2	მიმდინარე აქტივები ანუ საბრუნავი საშუალებები მ.შ	24,846,174	17,757,240	18,377,293	-7,088,934	580,053
	ა) მარაგები	11,295,380	9,927,126	7,308,372	-1,368,254	-2,618,754
	ბ) ფულადი საშუალებები, დებიტორული დავალიანებები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	13,550,794	7,830,114	11,068,921	-5,770,680	3,238,807
3	საკუთარი კაპიტალი	24,572,034	19,373,281	17,411,418	-5,198,753	-1,961,863
4	გრძელვადიანი სესხები და ვალდებულებები	5,660,983	5,164,886	3,959,932	-496,097	-1,204,954
5	მოკლევადიანი სესხები	2,708,239	1,215,665	1,249,158	-1,492,574	33,493
6	დანარჩენი მოკლევადიანი ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება, მიღებული ავანსები)	2,601,828	1,214,414	3,382,252	-1,387,414	2,167,838
7	საკუთარი საბრუნავი საშუალებები (3+4-1)	19,536,107	15,317,161	13,745,883	-4,218,946	-1,571,278
8	მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების საერთო სიდიდე (7+5+6)	24,846,174	17,747,240	18,377,293	-7,098,934	630,053
9	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა სიჭარბე/ ნაკლებობა (7-2ა)	8,240,727	7,820,114	6,437,511	-420,613	-1,382,603
10	მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების სიჭარბე/ნაკლებობა (8-2ა)	13,550,794	7,820,114	11,068,921	-5,730,680	3,248,807

ზემოთ აღნიშნული მეთოდის მიხედვით შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს ფინანსური მდგრადობის შეფასებით დადგინდა შემდეგი:

2015 წელს სრულდება უტოლობა:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე 11,295,380 < 19,536,107

2016 წელს სრულდება უტოლობა:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე 9,927,126 < 15,317,161

2017 წელსაც სრულდება უტოლობა:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე 7,308,372 < 13,745,883

სამივე წლის მონაცემებით საწარმო აბსოლიტურად მდგრადია.

ანალიზით ირკვევა, რომ მას მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველსაყოფად საკმარისი საკუთარი საბრუნავი სახსრები გააჩნდა, ხოლო საწარმოს მიერ ამ მიზნით აღებული სესხების გამოყენება ძირითად საქმიანობაში არ მომხდარა, რაც არამართებულია.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის დეტალური ანალიზი უნდა ჩატარდეს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც სათანადო ინტერპრეტაციების გაკეთების საშუალებას იძლევა. მიზანშეწონილია შემდეგი კოეფიციენტების გამოყენება:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი
- გრძელვადიანი დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი

- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს მესაკუთრეთა წილს მის საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. სასურველია მისი მნიშვნელობა 0.5-ს აღემატებოდეს, რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ფინანსურად მით უფრო მდგრადია საწარმო. საერთოდ, მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალები საკუთარი სახსრებით დაიფარება. აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტთან ერთად მიზანშეწონილია მოზიდული სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$

იგი გვიჩვენებს რა ოდენობის ვალდებულებებია მოზიდული ყოველი ერთი ლარის ქონების შეძენისთვის და ახასიათებს ნასესხები კაპიტალის ხვედრით წონას მთლიან აქტივებში. ამ მაჩვენებლისა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ჯამი ერთის ტოლია.

$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{დაფინანსების წყაროების მთლიანი ჯამი}}$$

ეს შეფარდება არის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს საკუთარის სახსრების ხვედრით წილს დაფინანსების წყაროების საერთო ოდენობაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ტოლია, ვინაიდან გადაანგარიშებაში ერთი და იგივე სიდიდეები მონაწილეობს.



ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სისიდეა და გვიჩვენებს რადენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს.

$$K = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

მაჩვენებლის ზრდა ნასესხები სახსრების ზრდაზე მიუთითებს, რაც საწარმოს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხის ქვეშ აყენებს. თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთამდე დაეცა, ეს ნიშნავს, რომ ქონებას სრულად აფინანსებს მესაკუთრეები.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი საწარმოს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობის მახასიათებელია. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0.2-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

$$K = \frac{\text{მთლიანი აქტივები} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}{\text{საბრუნავი აქტივების ჯამი}}$$

ფინანსური მდგრადობის ზოგადი დახასიათებისათვის გამოიყენება **საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი**:

$$K = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

თუ საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონა უფრო მაღალია, ვიდრე ნასესხები კაპიტალისა, ეს ნიშნავს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი ახასიათებს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციურ შესაძლებლობას. თუ ეს ნაჩვენებელი 0.5-ის ტოლი ან მეტია, მაშინ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა დარღვეული არ არის და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას გაუარესების საშიშროება არ ემუქრება.

$$K = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისათვის გამოყენებული საკუთარი საბრუნავი კაპიტალის წილს, ანუ

საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, თავად ამ კოეფიციენტის ნორმალური სიდიდე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული და განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან. მისი საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი მეტია ან ტოლი 0.5-ის.

$$K = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი კაპიტალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

გრძელვადიანი დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი მიუთითებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტორების მიერ და რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო დამოკიდებულია საწარმო გარე ინვესტორზე.

$$K = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი, ანუ იგივე **ფინანსური ლევერიჯი**, ახასიათებს საწარმოს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას

$$K = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

იგი იკვლევს სესხებსა და საკუთარ კაპიტალს შორის კავშირს. მისი ზრდა უარყოფითი მაჩვენებელია. ფინანსური ლევერიჯის რამდენიმე კოეფიციენტი:

$$K(\text{კაპიტალის ლევერიჯი}) = \frac{\text{სესხები} + \text{პრივილეგირებული კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტვები} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

$$\begin{aligned} K(\text{შემოსავლის, ანუ \% - ის ლევერიჯი}) &= \\ &= \frac{\text{სავალო პროცენტები}}{\text{მოგება \%} - \text{ისა და გადასახადის გამოკლებამდე}} \end{aligned}$$

$$K = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ყველა კოეფიციენტი ერთსა და იმავე სიდიდეს ზომავს, თუმცა მაშინ არის მონაცემები შესადარისი, როცა კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდში ან სხვა კომპანიასთან შედარებისას ერთი და იგივე კოეფიციენტები გამოიყენება.

გარდა ფინანსურისა, ასევე არსებობს ოპერაციული ლევერიჯი, რომლის გაანგარიშების ორი მეთოდი არსებობს:

$$K = \frac{\text{EBIT} - \text{ის \% ცვლილება}}{\text{გაყიდვებიდან ამონაგების \% ცვლილება}}$$

EBIT - მოგება პროცენტებამდე და გადასახადებამდე

$$K = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ცვლადი დანახარჯები}}$$

კომპანიას მაღალი ოპერაციული ლევერიჯით, EBIT-ში ექნება მაღალი ცვალებადობა, გაყიდვების დონესთან შედარებით.

კომპანიას მაღალი ფინანსური ლევერიჯით, აქციონერთა უკუგების მაღალი ცვალებადობა ექნება, EBIT-ის ცვალებადობის დონესთან შედარებით.

ასე რომ, კომპანიაში გაყიდვების ცვლილებისას ოპერაციული ლევერიჯის დონის მიხედვით განისაზღვრება აქციონერთა უკუგების საუკეთესო ცვლილება.

იმისათვის, რომ დახასიათებულ იქნეს ფინანსური მდგრადობისთვის აუცილებელი საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის ხარისხი გამოიყენებენ კოეფიციენტს:

$$K = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საბრუნავი სახსრები}}$$

მისი რეკომენდებული მნიშვნელობაა 0.1-დან 0.5-მდე.

ცხრილი 2.1.2. შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს ფინანსური მახასიათებლები დინამიკაში 2015 – 2017 წწ-ში.

№	მაჩვენებლები	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	ცვლილება	
					2016	2017
1	აქტივები	35,543,084	26,968,246	26,002,760	-8,574,838	-965,486
2	გრძელვადიანი აქტივები	10,696,910	9,211,006	7,625,467	-1,485,904	-1,585,539
3	მიმდინარე აქტივები	24,846,174	17,757,240	18,377,293	-7,088,934	620,053
4	საკუთარი კაპიტალი	24,572,034	19,373,281	17,411,418	-5,198,753	-1,961,863
5	გრძელვადიანი ვალდებულებები	5,660,983	5,164,886	3,959,932	-496,097	-1,204,954
6	მიმდინარე ვალდებულებები	5,310,067	2,430,079	4,631,410	-2,879,988	2,201,331
7	საკუთარი საბრუნავი სახსრები	19,536,107	15,317,161	13,745,883	-4,218,946	-1,571,278
8	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (4:1)	0.69	0.72	0.67	0.03	-0.05
9	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი (5+6:1)	0.31	0.28	0.33	-0.03	0.05
10	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი (3:2)	2,32	1,93	2,41	-0.39	0.48
11	საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი (4/(5+6))	2,24	2,55	2,02	0.31	-0.53
12	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (5/(5+4))	0.19	0.21	0.19	0.02	-0.02
13	საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (7/3)	0.79	0.86	0.75	0.07	-0.11
14	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი (7/4)	0.8	0.79	0.79	-0.01	0
15	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი (1/4)	1,45	1,39	1,49	-0.06	0.1
16	სახსრების მანევრირების კოეფიციენტი (3-6):3	0.79	0.86	0.75	0.07	-0.11
17	გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი (5/2)	0.53	0.56	0.52	0.03	-0.04

შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ ფინანსური მახასიათებლების შესწავლა მნიშვნელოვანია კომპანიის მომავალი ფუნქციონირებისათვის, საიდანაც დგინდება შემდეგი:

**საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი** გაუმჯობესებით ხასიათდება 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, ხოლო შემდგომ ეს მაჩვენებელი იკლებს. თუმცა, კლება ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა, რადგან, სამივე წლის მაჩვენებელი აღემატება 0.5ს, რაც ფინანსურ მდგრადობაზე მიგვანიშნებს.

**ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი** სამივე წელს 0.5-ზე ნაკლებია, რაც საკუთარი სახსრების ხვედრითი წილის უპირატესობაზე მიუთითებს.

**სახსრების მობილურობის კოეფიციენტები** ამ შემთხვევაში მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საშიშროება არ ემუქრება, რადგან მაჩვენებლები ბევრად აღემატება 0.5-ს.

**საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი** სამივე წელს აღემატება მინიმალურ ზღვარს - 1-ს, რაც მის ფინანსურ მდგრადობაზე მიუთითებს, თუმცა მაჩვენებელი 2017-ში 2016 წელთან შედარებით დაკლებულია, რაც არ არის სასურველი საწარმოსთვის და აისახება კიდევ კომპანიის ფინანსურ შედეგებში.

**საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი** ახასიათებს კაპიტალის იმ წილს რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, მისი საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი ტოლია ან მეტია 0.5-ზე, ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული სამივე წელს აჭარბებს 0.5- (დაახლოებით 0.8).

**სახსრების მანევრირების კოეფიციენტი** ოპტიმალური მნიშვნელობა 0.2-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს, აღნიშნული კომპანია სამივე წელს აჭარბებს ამ ნიშნულს. შესაბამისად კომპანიას აქვს შესაძლებლობა აქტივები გარდაქმანს ლიკვიდურ სახსრებად

**გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი** პირველ შესადარის წელს გაზრდილია, შემდგომ იკლებს. ზოგადად, ზრდის ტენდენცია არასასურველია, რადგან მიუთითებს გარე ინვესტორებზე დამოკიდებულების ზრდას.

**ფინანსური ლევერიჯის** ზრდა დინამიკაში არის უარყოფითი მაჩვენებელი, რადგან თუ იზრდება ვალდებულება, იზრდება მასზე გადასახდელი პროცენტებიც, რაც აუარესებს საწარმოს ფინანსურ შედეგს, ჩვენს შემთხვევაში 2015-თან შედარებით მომდევნო წელს მაჩვენებელი მომატებულია, მაგრამ 2017-ში იკლებს და უტოლდება 2015 წლის მონაცემს, რაც ასევე სახარბიელო მდგომარეობას არ წარმოადგენს საწარმოსთვის

ზოგადად, ფინანსური ლევერიჯის დონეზე სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებენ:

**მფლობელთა დამოკიდებულება რისკის მიმართ** - არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებისას უპირატესობა ენიჭება მცირე რისკს და შესაბამისად, შემცირებულ შემოსავლიანობას. გამომდინარე იქიდან, რომ რისკის დაბალი დონე ნიშნავს სტაბილურობას- უფრო მისაღები სიტუაციაა, ვიდრე პირიქით.

**მენეჯერთა დამოკიდებულება რისკის მიმართ** - მენეჯერები ახდენენ „ადამიანური კაპიტალის“ ინვესტირებას ბიზნესში, ამიტომ მათი განწყობა ლევერიჯის მაღალი დონის მიმართ არის უარყოფითი, რადგან პირდაპირ პროპორციულად იქნება ეს მათ სამუშაო ადგილებთან და შესაბამისად, ფინანსურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული. თუმცა, თუ მენეჯერების ფინანსური წახალისება დამოკიდებულია აქციონერების შემოსავალიანობაზე, მზად იქნებიან მიიღონ ლევერიჯის მაღალი დონე.

**კრედიტორების დამოკიდებულება კომპანიისადმი** - კრედიტორებისთვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს კომპანიის მხრიდან დროულად გადახილი კრედიტორული დავალიანებები. რისთვისაც საჭიროა ფინანსური სტაბილურობა. ამის მისაღწევად სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები კომპანიის მიერ თავისი ფინანსური შესაძლებლობების შესაფასებლად. ამის საფუძველზე კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს სამოქმედო გეგმა, განიხილოს და შეაფასოს თავისი ფინანსური მდგომარეობა სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში, ასევე უნდა დაახარისხოს ხარჯები. საკმაოდ შრომატევადია აღნიშნული ანალიზის ჩატარება, მაგრამ აუცილებელია.

შემდგომ უკვე შეადგენს სამოქმედო გეგმას, რაც პოზიციების უკეთ განსაზღვრაში და საჭიროებების გარკვევაში დაეხმარება.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს და განიხილოს მის მიერ დასახული გეგმის განხორციელების მიმდინარეობა. ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კომპანიის შესაძლებლობები, მოთხოვნილებები და ვალდებულებები.

## 2.2 საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია და ყურადღაღები ცნებებია ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა.

ლიკვიდურობის ცნების გაგება თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში არაერთგვაროვანია, თავად ტერმინი „ლიკვიდურობა“ ლათინური სიტყვიდან „ლიქუიდუს“ წარმოდგება და „თხევადს“, „მიმდინარეს“ ნიშნავს, ხოლო ეკონომიკური განმარტებით სიტყვა „ლიკვიდური“ ნიშნავს ისეთ აქტივებს, რომელთა განაღდება, ფულად ქცევა ადვილად შეიძლება, თავისი საბალანსო ღირებულების არსებითი ცვლილების გარეშე და არის საწარმოს უნარი უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროულად შესრულება. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება დროის ხანგრძლივობით, რომლის განმავლობაშიც ეს ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს. საწარმო ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი აქტივები აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს.

გადახდისუნარიანობა ნიშნავს საწარმოს უნარს დროულად დაფაროს ვალდებულებები, რომლებიც წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგადაა წარმოქმნილი. საწარმო ითვლება, რომ არის ფინანსურად მდგრადი, თუ აქვს უნარი დაფაროს მისი მოკლევადიანი ვალდებულებები ადვილად რეალიზებადი სახსრებით.

გადახდისუნარიანობა შეიძლება იყოს შემთხვევითი, დროებითი, ხანგრძლივი, ქრონიკული.

ერთი შეხედვით, ლიკვიდურობა ასეთი ფორმულირებით არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ე.ი. საწარმოს უნარისგან პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე დროის კონკრეტულ მომენტისათვის. მაგრამ ისინი არარის იგივეური ცნებები. ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა, გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია ბალანსზე და საწარმოს ლიკვიდურობაზე. ლიკვიდურობა ხასიათდება, როგორც ანგარიშსწორებათა მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში და პერსპექტივაში. საწარმო შეიძლება იყოს გადახდისუნარიანი საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ გააჩნდეს არაკეთილსასურველი შესაძლებლობანი მომავლისთვის.

ლიკვიდურობის ანალიზი ითვალისწინებს ლიკვიდურობის კლების მიხედვით დაჯგუფებული აქტივების შედარებას მოკლევადიან ვალდებულებებთან, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დაფარვის ვადების ზრდის პრინციპით.

ფულად გადაქცევის სისწრაფის მიხედვით აქტივებს აჯგუფებენ შემდეგნაირად:

აბსოლიტურად ლიკვიდური აქტივები ( $A_1$ ) - საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);

სწრაფად რეალიზებადი აქტივები ( $A_2$ ) – დებიტორული დავალიანებანი, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეს არ აღემატება;

ნელა რეალიზებადი აქტივები ( $A_3$ ) – მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვეს აღემატება;

ძნელად რეალიზებადი აქტივები ( $A_4$ ) – გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობანი.

საწარმოს ვალდებულებები დაფარვის ვადებიდან გამომდინარე ჯგუფდება ასეთი

სახით:



ყველაზე სწრაფად დასაფარი ვალდებულებები ( $P_1$ ) - კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია;

მოკლევადიანი ვალდებულებები ( $P_2$ ) - ეს არის მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

გრძელვადიანი ვალდებულებები ( $P_3$ ) - ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანაღლებელი ობლიგაციები;

მუდმივი პასივები ( $P_4$ ) - საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

ანალიზის საწყის ეტაპზე ვუპირისპირებთ ერთმანეთს აღნიშნულ აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებს. ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ:

$$A_1 \geq P_1; A_2 \geq P_2; A_3 \geq P_3; A_4 \leq P_4$$

თუ სრულდება პირველი სამი პირობა, შესრულდება მეოთხეც, მაგრამ თუ პირველი სამიდან რომელიმე არ სრულდება, ეს მეტყველებს ბალანსის ლიკვიდობის დარღვევაზე.

მიმდინარე გადახდისუნარიანობის გასაანგარიშებლად აუცილებელია პირველი ჯგუფის ლიკვიდური საშუალებები შევადაროთ პირველი ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებს. იდეალური ვარიანტია, როცა კოეფიციენტი არის ერთი ან ერთზე მეტი. ხოლო პერსპექტიული გადახდისუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება ლიკვიდობის შემდეგი მაჩვენებლები: აბსოლუტური, შუალედური და საერთო ლიკვიდობა.

**აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი** გვიჩვენებს მოცემულ მომენტში არსებული ფულადი სახსრებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. მისი იდეალური მნიშვნელობა არის 1 და მინიმალური დონე 0,2-ზე დაბლა არ უნდა იყოს. გაიანგარიშება ფორმულით:

$$K = \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი დაბანდებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

შუალედური ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს არსებული და მიმდინარე პერიოდში მისაღები ფულადი საშუალებები რა ხვედრითი წონით ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს. ამ კოეფიციენტს სხვანაირად კრიტიკული შეფასების კოეფიციენტსაც უწოდებენ. ფორმულა:

$$K = \frac{\text{ფულადი საშუალებები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

მესამე კოეფიციენტი საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტია, რომელიც გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს, ანუ შესაძლებელია თუ არა ვალდებულებათა დაფარვა მიმდინარე პერიოდში არსებული და მისაღები მთლიანი ფულადი სახსრებით. იგი უნდ ამერყეობდეს 2-სა და 3ს შორის. გაინგარიშება მარტივად:

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მხოლოდ აღნიშნული მაჩვენებლებით არ შეიძლება უშეცდომოდ შევაფასოთ საწარმოს ფინანსური მდგრალობა, მითუმეტეს, რომ ლიკვიდობის კოეფიციენტი არის ფარდობითი მაჩვენებელი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება არც შეიცვალოს, მაშინ როცა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს, ამიტომ შედარებით უფრო სრულყოფილი შეფასებისათვის შემდეგ მაჩვენებელს გამოვიყენებთ:

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოგება}} * \frac{\text{მოგება}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = X1 * X2$$

სადაც X1 - მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს მიმდინარე აქტივების თუ რა ღირებულება

მოდის ერთი ლარის მოგებაზე;

X2 - მაჩვენებელი, რომელიც ადასტურებს საწარმოს უნარს დაფაროს ვალები

თავისი საქმიანობის შედეგებით. იგი ახასიათებ ფინანსურ მდგრადობას. რაც უფრო მაღალია მისი სიდიდე მით უეკეთესია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

როდესაც ვაკეთებთ ლიკვიდურობის ანალიზს, მიზანშეწონილია გავიანგარიშოთ შემდეგი მაჩვენებლები:

- ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი
- მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- აბსოლიტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში
- მარაგების დაფარვის კოეფიციენტი

ფუნქციონირებადი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი საბრუნავი სახსრების იმ ნაწილს, რომელიც აბსოლიტურად ლიკვიდურია და განისაზღვრება ფულადი სახსრების შეფარდებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამთან. ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოებში მერყეობს 0-დან 1-მდე. სხვა თანაბარ პირობებში ამ მაჩვენებლის დინამიკაში ზრდა დადებით მოვლენად აღიქმება.

მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი - აქტივების ლიკვიდურობის ზოგადი შეფასებისთვის. გამოითვლება საბრუნავი (მიმდინარე) აქტივების შეფარდებით მიმდინარე (მოკლევადიან) ვალდებულებებთან. იდეალური მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, დამოკიდებულია ბიზნესის ტიპზე, მაგრამ საშუალოდ განიხილავენ 2-ს. რაც უფრო მაღალია საბრუნავი აქტივების თანაფარდობა მით უფრო ლიკვიდურად ითვლება საწარმო. როდესაც ეს მნიშვნელობა ძალიან მაღალია , გვეძლევა საფუძველი ვიფიქროთ, რომ კომპანიის აქტივები წარმოდგენილია უმეტესად ფულადი საშუალებებით ან სხვა აქტივებით და არ გამოიყენება ისე შედეგიანად , როგორც არის შესაძლებელი.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ანუ კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი არის ლიკვიდურობის უფრო დამაჯერებელი შემოწმების საშუალება. ეს კოეფიციენტი უკავშირდება ორ შემთხვევას. პირველი, როცა ლიკვიდური საბრუნავი საშუალებები ახდენს მოკლევადიანი ვალდებულებების მთლიან კომპენსაციას, საწარმოს ლიკვიდურობასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოექცნას გარკვეული სირთულეები. მეორე შემთხვევა, როცა ფულადი საშუალებების დადებითი ნაკადების მნიშვნელოვანი გენერირება ხდება. ეს არ წარმოადგენს კომპანიისთვის საფრთხეს, რადგან კრიტიკულობის კოეფიციენტი 1-ზე დაბალია და პრობლემებს არ ქმნის ლიკვიდურობასთან დაკავშირებით. ამ კოეფიციენტის იდეალური მნიშვნელობა 1-ის ტოლია. გაიანგარიშება ფულადი საშუალებებისა და დებიტორული დავალიანებების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდებით.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც ზემოთაც განვიხილეთ, მიუთითებს, მოკლევადიანი ვალდებულებების რა ნაწილი უნდა დაიფაროს დაუყოვნებლივ. ახასიათებს მიმდინარე ვალდებულებების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე უფრო ლიკვიდური ნაწილის, ანუ ფულადი სახსრების ხარჯზე უნდა დაიფაროს, იმის გათვალისწინებით, რომ ძალზე მცირეა იმის ალბათობა, რომ ყველა კრედიტორი ერთდროულად წაუყენებს საწარმოს მოთხოვნებს. ოპტიმალური მნიშვნელობა 0.2-დან 0.3-მდეა. გაიანგარიშება ხდება ფულადი სახსრების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში - ახასიათებს მარაგების ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, ქვედა ზღვარი 50%-ის ტოლი უნდა იყოს. გაიანგარიშება, როგორც საკუთარი საბრუნავი საშუალებების შეფარდებით მარაგებთან.

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი განისაზღვრება მარაგების დაფარვის „ნორმალური“ წყაროების თანაფარდობით მარაგების ოდენობასთან. გაიანგარიშება, როგორც, საკუთარი საბრუნავი საშუალებების, ბანკის სესხების სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისათვის და კრედიტორული დავალიანების ჯამის შეფარდებით მარაგებთან. თუ ამ თანაფარდობის მნიშვნელობა 1-ზე ნაკლებია, მაშინ

საწარმოს მიმდინარე დინანსური დგომარეობა არამდგრადია. ანალიზში გვესაჭიროება ეს მაჩვენებელი, რომ გავიგოთ, რომელი წყაროები და რა რაოდენობით გამოიყენება მარაგების დასაფარავად.

ცხრილი 2.2.1. შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ ლიკვიდურობის მაჩვენებლების გაანგარიშება

№	მაჩვენებლები	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	ცვლილება	
					2016	2017
1	ფულადი საშუალებები	2,007,524	1,798,100	2,840,067	209,424	1,005,967
2	სწრაფად რეალიზებადი აქტივები - დებიტორული დავალიანებები	10,838,416	4,813,262	6,189,904	6,025,154	-1,376,642
3	ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები	11,295,380	9,927,126	7,308,372	-1,368,254	-2,618,754
4	ნაკლებად რეალიზებადი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები	10,696,910	9,211,006	7,625,467	-1,485,904	-1,585,539
5	სასწრაფო ვალდებულებები	2,708,239	1,215,665	1,249,158	-1,492,574	33,493
6	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,310,067	2,430,079	4,631,410	-2,879,988	2,201,331
7	გრძელვადიანი ვალდებულებები	5,660,983	5,164,886	3,959,932	-496,097	-1,204,954
8	საკუთარი კაპიტალი	24,572,034	19,373,281	17,411,418	-5,198,753	-1,961,863
9	საკუთარი საბრუნავი საშუალებები	19,536,107	15,317,161	13,745,883	-4,218,946	-1,571,278
10	აბსოლიტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,38	0,74	0,61	0,36	-0,13
11	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	4, 55	6,81	3,53	2,26	-3,28
12	სასწრაფო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2,42	2,72	1,95	0,3	-0,77
13	პერპექტიული ლიკვიდურობის მაჩვენებელი	3,91	2,85	3,16	-1,06	0,31
14	ფუნციონირებადი კაპიტალის (საკუთარი საბრუნავი სახსრების) მანევრირების მაჩვენებელი	0,1	0,12	0,21	0,02	0,09
15	საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში (%)	172	154	188	-18	34
16	მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	2,95	2,44	3,23	-0,51	0,79

განხილვა დავიწყოთ **აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი**, როგორც ვხედავთ მისი მნიშვნელობები ოპტიმალურზე მაღალია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კომპანია 2015 წელს თავისი მიმდინარე ვალდებულებების 38%-ს ფარავს არსებული ფულადი საშუალებებით. 2016-ში, მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულია, მას შეუძლია მიმდინარე ვალდებულებების 74%-ს მოემსახუროს, 2017-ში კი ეს მაჩვენებელი იკლებს. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ მხოლოდ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტით ვერ ვიმსჯელებთ კომპანიის გადახდისუნარიანობის აკვარგეიანობაზე.

**მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი** 2016- ში 0.36 პუნქტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ეს ცვლილება გამოწვეულია მიმდინარე აქტივების მცირედი შემცირებისა და მიმდინარე ვალდებულებების განახევრების ხარჯზე. 2017 წელს კი ვალდებულებები ისევ იმატებს და კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.13-ით მცირდება.

**სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტიც** 2016-ში იზრდება წინა წელთან შედარებით, ხოლო 2017-ში კი შედარებით შემცირებულია. თუმცა მაინც მისაღებ მაჩვენებლებად ითვლება, რადგან სამივე წელს მისი მნიშვნელობა 1-ზე მეტია. გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები გაიანგარიშება ბალანსის მონაცემების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის გარკვეული დროის „მომენტალურ სურათს“, შესაძლოა კორექტულად ვერ დაახასიათოს წლის მანძილზე ლიკვიდურობის მდგომარეობა.

**ზოგადად, პერპექტიული ლიკვიდურობის კოეფიციენტი** არის მომავალში მისაღები აქტივების და გადასახდელების თანაფარდობა გრძელვადიან ვალდებულებებთან. ამიტომ მიახლოებითი პროგნოზის საშუალებას იძლევა. მაჩვენებელი აქაც იგივენაირად 2016ში იზრდება, ხოლო 2017-ში იკლებს.

ფუნქციონირებადი კაპიტალის **მანევრირების მაჩვენებელი** ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ დადებით მოვლენად ითვლება. ასევე, სამივე წლის მონაცემი მერყეობს 0-დან 1-მდე, რაც მიგვანიშნებს ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოზე.

საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში. გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი საბრუნავი საშუალებები პირველ შესადარის წელს უფრო საგრძნობლად იკლებს ვიდრე მარაგები, ხოლო შემდგომში შედარებით ნაკლებად, ეს იწვევს ამ კოეფიციენტის კლებას პირველ წელს, მეორეში კი ზრდას.

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მარაგების დაფარვის ნორმალური წყაროების (ბანკის მოკლევადიანი სესხები სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისათვის, კრედიტორული დავალიანებები, საკუთარი საბრუნავი საშუალებები) ხვედრითი წილის ზრდაზე მიუთითებს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, საწარმოს ბალანსი ითვლება აბსოლიტურად ლიკვიდურად თუ სრულდება მოცემულ ცხრილში არსებული ოთხივე თანაფარდობა:

ცხრილი 2.2.2. შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობა.

თანაფარდობა	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
$A_1 \geq P_1$	2,007,524 < 2,708,239	1,798,100 > 1,215,665	2,840,067 > 1,249,158
$A_2 \geq P_2$	10,838,416 > 5,310,067	4,813,262 > 2,430,079	6,189,904 > 4,631,410
$A_3 \geq P_3$	11,295,380 > 5,660,983	9,927,126 > 5,164,886	7,308,372 > 3,959,932
$A_4 \leq P_4$	10,696,910 < 24,572,034	9,211,006 < 19,373,281	7,625,467 < 17,411,418

ვისაუბრეთ და განვმარტეთ ცხრილში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფები. ცხრილი #4-დან აღებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული თანაფარდობები გვაძლევს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას:

როგორც ვხედავთ 2015 წლის პირველი ჯგუფის თანაფარდობა არ სრულდება, ანუ ყველაზე სწრაფად ლიკვიდური აქტივების წილი ნაკლებია სასწრაფო ვალდებულებებზე, თუმცა აღნიშნული უტოლობა მცირედით არის აცდენილი მისაღებ პირობას, მაინც არღვევს ამ წელს აბსოლიტური ლიკვიდურობის პირობას. სხვა დანარჩენ წლებში მიღებული უტოლობები მითუთებ, რომ 2016 და 2017 წლებში საწარმო აბსოლიტურად ლიკვიდურია.

ლიკვიდურობის მაჩვენებლების განხილვისას, გასათვალისწინებელია, რომ მათი სიდიდე არის პირობითი, ვალდებულებათა ხანგრძლივობა და აქტივების ლიკვიდურობა ბუღალტრული ბალანსით მხოლოდ მიახლოებით განისაზღვრება.

ასევე, ყურადსაღები ფაქტია ისიც, რომ ლიკვიდურობის კოეფიციენტები იძლევიან სტატისტიკურ წარმოდგენას განსაზღვრული თარიღისთვის ვალდებულებათა დასაფარავად გადახდის საშუალებათა ოდენობის შესახებ. ნორმალურ სიტუაციაში კი, საბრუნავი აქტივები იცვლება: გამოყენებული მარაგების შევსება ხდება, დაფარული დებიტორული დავალიანებები იცვლება ახლად წარმოქმნილი დავალიანებებით.

## **2.3 საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებელთა შეფასება და ანალიზი**

ამ ქვეთავის განხილვას დავიწყებთ საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დახასიათებით. იგი საქმიანობის შეფასების ხარისხობრივი მაჩვენებელია და გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო ავანსირებულ კაპიტალს. ავანსირებული ღირებულების დაჩქარების შედეგად მიიღწევა თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლება, ხოლო შენელებისას საჭიროა დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა და დაბანდება.

მეწარმე ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისა და შემდგომი განხორციელებისათვის ფულად სახსრებს აბანდებს გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებში. გრძელვადიან აქტივებში დაბანდებულ სახსრებს, მეწარმე იბრუნებს რამდენიმე წლის განმავლობაში, ასეთ ღირებულებას ძირითად კაპიტალს ან ძირითად საშუალებას ვუწოდებთ. ხოლო მიმდინარე აქტივებში დაბანდებულ სახსრებს კი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იბრუნებს უკან და კვალავ ავანსირდება ახალ მარაგებში, რომელიც ცნობილია, როგორც საბრუნავი კაპიტალი ან საბრუნავი საშუალებები.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ხარისხი შეისწავლება მათი ბრუნვადობის მაჩვენებლით.



ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებელი არსებობს, განვიხილოთ სამივე ჩვენი საწარმოს მაგალითზე:

- ბრუნვის რიცხვი - ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში

$$\text{ბრუნვის რიცხვი ჯერებში} = \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}$$

- ბრუნვის პერიოდი დღეებში - ზომავს, რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას. ბრუნვის რიცხვის შებრუნებული მაჩვენებელია

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი} * 365}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

- დამაგრების (ანუ დაყოვნების) კოეფიციენტები - ახასიათებს, რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს დაბანდებული მუდმივად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ერთი ლარი შემოსავლის მიღება.

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

ცხრილი 2.3. შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების ინფორმაცია

მაჩვენებლები	2015	2016	2017
1. მიმდინარე აქტივების საშუალო ნაშთი (ფულადი თანხების გარეშე)	22,838,650	15,959,140	15,537,226
2. შემოსავალი რეალიზაციიდან	21,200,130	21,106,980	21,022,536
3. საბრუნავი კაპიტალი ბრუნვის რიცხვი	0,92	1,32	1,35
4. ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში	393	276	270
5. დამაგრების კოეფიციენტი	1.077	0.75	0.74

პირველი მაჩვენებელი აღებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მეორე მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე მაჩვენებელი გამოთვლილია ზემოთ მოცემული ფორმულების საფუძველზე:

როგორც ხედავთ, ბრუნვის რიცხვი იზრდება, ხოლო ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა კი მცირდება. რაც საბრუნავი საშუალებების გამოთავისუფლებაზე მეტყველებს. ასევე, დამაგრების კოეფიციენტი მცირდება დინამიკაში, ესეც დადებითი ფაქტია, რადგან იწვევს საწარმოს კრედიტუნარიანობის გაძლიერებას.

ბრუნვადობის სიდიდესა და მის სიჩქარეზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია: საწარმოს საქმიანობის მასშტაბი, ბიზნესის ან საქმიანობის ხასიათი, საწარმოს ციკლის ხანგრძლივობა, კლიენტის გადახდისუნარიანობა, მენეჯერების კვალიფიკაცია, ინფლაცია და ა.შ.

საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოთავისუფლებული საბრუნავი საშუალებების შეფარდებითი სიდიდის გაანგარიშებას, რომელიც გვიჩვენებს საბრუნავი საშუალებების ფაქტობრივი სიდიდე რამდენით მეტია ან ნაკლებია იმ სიდიდეზე, რომელიც დასჭირდებოდა საწარმოს საანალიზო პერიოდში, საბაზისო პერიოდში მათი გამოყენების პერიოდიდან გამომდინარე. ფორმულა:

$$H = \frac{SK_0 * R_1}{R_0} - SK_1$$

სადაც,  $R_1$  რეალიზებული პროდუქციის ბრუნვა საანგარიშგებო პერიოდში;

$R_0$  რეალიზებული პროდუქციის ბრუნვა საბაზისო პერიოდში

$SK_1$  საბრუნავი კაპიტალის სიდიდე საანგარიშგებო პერიოდში

$SK_0$  საბრუნავი კაპიტალი სიდიდე საბაზისო პერიოდში.

შპს „ემბავუდ ჯორჯიასთვის“ საბაზისო პერიოდად ჯერ ავიღოთ 2015წელი, ამ შემთხვევაში:

$$H = \frac{19,536,107 * 15,731,617}{15,503,108} - 15,317,161 = 2,477,421$$

ხოლო საბაზისო წელს თუ ავირჩევთ 2016-ს:

$$H = \frac{15,317,161 * 16,729,158}{15,731,617} - 13,745,883 = 2,542,538$$

მარაგების ბრუნვალობის ანალიზისას გაიანგარიშებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

- მარაგების ბრუნვალობის კოეფიციენტი - ხასიათდება ის ბრუნვათა რიცხვი, რომელიც შესაძლოა შეასრულოს მარაგმა საანალიზო პერიოდში. (მწამროებელი საწარმოსთვის 4-8 ბრუნი წლიწადში არის ნორმალური).

$$K = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{მარაგის საშუალო სიდიდე}}$$

$$\text{მარაგის საშუალო სიდიდე} = \frac{\text{მარაგი წ/დ} + \text{მარაგი წ/ბ}}{2}$$

ჩვენი საწარმოს მაგალითზე ეს მაჩვენებელი არის:

2016 წელს

$$K = \frac{21,106,980}{10,611,253} = 1.99$$

2017 წელს

$$K = \frac{21,022,536}{8,617,749} = 2.44$$

როგორც გაანგარიშებიდან ვხვდებით კოეფიციენტის მნიშვნელობები ორივე წელს ნორმალურ მაჩვენებელზე ნაკლებია.

- მარაგის ბრუნვის ხანგრძლივობის კოეფიციენტი დღეებში:

$$D = \frac{\text{მარაგის საშუალო ნაშთი} * \text{საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობა}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$$

2016 წელი:

$$D = \frac{10,611,253 * 365}{21,106,980} = 183$$

2017 წელი:

$$D = \frac{8,617,749 * 365}{21,022,536} = 150$$

- დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა გვიჩვენებს კომერციული კრედიტის გაცემის გაფართოებას ან შემცირებას. კოეფიციენტის გადიდება გულისხმობს კრედიტით გაყიდვების შემცირებას, ხოლო შემცირება - გაცემული კრედიტის მოცულობის გაფართოებას, გაიანარიშება ფორმულით:

$$K = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{დებიტორული დავალიანების საშუალო სიდიდე}}$$

2016 წელი:

$$K = \frac{21,106,980}{7,825,839} = 2.70$$

2017 წელი:

$$K = \frac{21,022,536}{5,501,583} = 3.82$$

ეს ნიშნავს, რომ კრედიტით გაყიდვები შემცირებულია.

- დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი

$$D^1 = \frac{T}{K}$$

სადაც  $D^1$  - დებიტორული დავალიანების დაფარვის ხანგრძლივობა (დღეებში)

$T$  - საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობა

$K$  - დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი

2016 წელი:  $365/2.70 = 135$

2017 წელი:  $365/3.82 = 96$

- საბრუნავ საშუალებებში დებიტორული დავალიანების ხვედრითი წონა

$$K = \frac{D}{SK} * 100$$

სადაც  $D$  - დებიტორული დავალიანების საშუალო სიდიდე

$SK$  - საბრუნავი კაპიტალის საშუალო სიდიდე

2016 წელი:

$$K = \frac{7,825,839}{17,426,634} * 100 = 45$$

2017 წელი:

$$K = \frac{5,501,583}{14,531,522} * 100 = 38$$

ასე რომ, ავანსირებული ღირებულების ბრუნვაობის ანალიზის საფუძვრებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და დაჯგუფება
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვაობის მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვაობის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გაზომვა
- წინა წელთან ან გეგმასთან შედარებით, ბრუნვიდან გამოთავისუფლებული (ან დამატებით მოზიდული) სახსრების დადგენა.

ზოგადად, ანალიზის პროცესში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შედარების საკითხი. ბევრი ანალიტიკოსის აზრით, თუ კრედიტორული დავალიანება აღემატება დებიტორულს, ეს ნიშნავს, რომ საწარმო რაციონალურად იყენებს საშუალებებს. ბუღალტრები კი არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას, რადგან მიუხედავად დებიტორული დავალიანების მდგომარეობისა საწარმომ მაინც უნდა დაფაროს კრედიტორული დავალიანება.

## 2.4 საწარმოს ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი

ფინანსური ლევერიჯი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელსაც გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ლევერიჯი ეს არის ბერკეტი, რომლის ძალითაც შესაძლებელია არსებითად შეიცვალოს ფირმის საწარმოო-ფინანსური საქმიანობის შედეგები. იგი ახდენს საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ისეთ ოპტიმიზაციას, რომ გაიზარდოს მოგება.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი იკვლევს კომპანიის სესხებსა და საკუთარ კაპიტალს შორის კავშირს. იგი განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებული კაპიტალის თანხაში და მისი ზრდა დინამიკაში უარყოფითი მაჩვენებელია. მისი ზოგადი ფორმულა შემდეგნაირია:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

ლევერიჯის ზრდა, რისკის ზრდას ნიშნავს. არსებობს ლევერიჯის სამი სახეობა: საწარმოო, ფინანსური და საწარმოო-ფინანსური. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**საწარმოო ლევერიჯი.** მას საწარმოს პროდუქციის თვითღირებულებისა და მისი გამოშვების სტრუქტურის ცვლილების გზით შეუძლია მოგების სიდიდეზე მოახდინოს გავლენა. იგი გაიანგარიშება, როგორც მთლიანი მოგების მატების ტემპის შეფარდებით გაყიდვების მოცულობის მატების ტემპთან. პროდუქციის წარმოების უმნიშვნელო ცვლილებაც კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოგების სიდიდეზე. გავლენას ახდენს, ასევე, საწარმოში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა. მისი დონის ამალღებისას იზრდება მუდმივი დანახარჯების ხვედრითი წონა და ამასთან მატულობს საწარმოო ლევერიჯის დონე, იზრდება იმ ამონაგების მიუღებლობის რისკის ხარისხი, რაც აუცილებელია მუდმივი ხარჯების დასაფარავად.

აღნიშნული განვიხილოთ ემბავუდ ჯორჯიას ერთ-ერთი სახეობის პროდუქციის (ლეიბების) მაგალითზე.


ცხრილი 2.4.1 საწარმოო ლევერიჯის კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდის

მაჩვენებლები	2016	2017
1. ნაკეთობის ფასი (ლარი)	500	550
2. ნაკეთობის თვითღირებულება (ლარი)	400	440
3. ხვედრი ცვალებადი ხარჯები (ლარი)	200	215
4. მუდმივი დანახარჯები (ათასი ლარი)	800	800
5. უზარალო გაყიდვების მოცულობა (ერთეული)	2666	2388
6. წარმოების მოცულობა (ერთეული)	6586	5841
7. წარმოების ზრდა %	-10.08%	-11.31%
8. ამონაგები (ათასი ლარი) 1*6	3293	3212.6
9. დანახარჯები (ათასი ლარი) 4+3*6	1318	1256.6
10. მოგება (ათასი ლარი)	1975	1956
11. მთლიანი მოგების ზრდა %	-5	-1
12. საწარმოო ლევერიჯის კოეფიციენტი	0.5	0.1

წარმოების მოცულობის ყოველი 1%-ით ზრდა, უზრუნველყოფს მთლიანი მოგების ზრდას 2016 წელს 0.5%-ით, ხოლო 2017-ში 0.1%-ით.

წარმოვადგინოთ აღნიშნული ურთიერთკავშირი გრაფიკულად.

გრაფიკი 2.4.1 საწარმოო ლევერიჯის დამოკიდებულება წარმოების დანახარჯთა სტრუქტურაზე



აბსცისათა ღერძზე მოცემულია წარმოების მოცულობა (ათასი ლარი) , ხოლო ორდინატთა ღერძზე მოგების მატება (პროცენტობით). უზარალო გაყიდვების მოცულობა გვიჩვენებს, საწარმომ რა რაოდენობის პროდუქცია უნდა აწარმოოს და მოახდინოს მისი რეალიზება, რომ დაფაროს მუდმივი ხარჯები. გაიანგარიშება მუდმივი ხარჯების შეფარდებით ნაკეთობის ფასსა და ხვედრ ცვალებად ხარჯებს შორის სხვაობაზე. გამომდინარე იქიდან , რომ ემბავუდ ჯორჯიას საწარმოო მაჩვენებლები ყველა სახეობის პროდუქციის მიხედვით იკლებს, სხვა პარამეტრებიც ასე თუ ისე ედრება აღნიშნულ მონაცემებს, შეგვიძლია ლეიბების მაგალითით ვისაუბროთ განზოგადებულად, საწარმოში არსებულ ვითარებაზე და ვთქვათ, რომ 2016 წელს საწარმოო რისკის ხარისხი შედარებით მაღალი იყო, ვიდრე 2017-ში, რადგან რაც უფრო მეტია აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე და გრაფიკის დახრილობის კუთხე აბსცისათა ღერძის მიმართ, მით მეტია საწარმოო რისკის ხარისხი.

**ფინანსური ლევერიჯი** გვიჩვენებს ურთიერთკავშირს მოგებასა და საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობას შორის. ასევე მისი საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებით მოგებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ფინანსური ლევერიჯის დონე განისაზღვრება წმინდა მოგების ზრდის ტემპის შეფარდებით მთლიანი მოგების ზრდის ტემპთან.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ამსახველია იმისა, თუ რამდენჯერ აღემატება წმინდა მოგების ზრდის ტემპები მთლიანი მოგების ზრდის ტემპს. რაც მიიღწევა ფინანსური ბერკეტის ეფექტის საფუძველზე, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი ძალა ანუ თანაფარდობა ნასესხებსა და საკუთარ კაპიტალს შორის. ბერკეტის ძალის გადიდება შეიძლება გავლენა მოახდინოს საკუთარი კაპიტალი მოგებასა და შემოსავლიანობაზე.

ფინანსური ლევერიჯის დონის ამალღებას თან ახლავს ფინანსური რისკის ხარისხის ამალღებაც, რაც შეიძლება გრძელვადიანი კრედიტისა და სესხებზე პროცენტის გადასახდელად საშუალებების უკმარისობით გამოიხატოს. ინვესტირებული კაპიტალის მთლიანი მოგებისა და რენტაბელობის უმნიშვნელო ცვლილებამ, მაღალი ფინანსური



ლევერიჯის პირობებში, შეიძლება გამოიწვიოს წმინდა მოგების მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც საშიშია წარმოების დაცემის შემთხვევაში.

თუ საწარმო თავის საქმიანობას აფინანსებს მხოლოდ საკუთარი საშუალებებით, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, ანუ ასეთ დროს ბერკეტის ეფექტი არ არსებობს და მთლიანი მოგების 1%-ით ცვლილება იწვევს წმინდა მოგების იგივე სიდიდით გადიდებას ან შემცირებას. თუმცა, ამ შემთხვევაში, საანალიზო საწარმოს აქვს ნასესხები სახსრები.

ცხრილი 2.4.2 შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ სამართავი კაპიტალის თანხები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	17,411,418	19,373,281
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(2,840,067)	(1,798,100)
კაპიტალი	14,571,351	17,575,181
მთლიანი კაპიტალი	17,411,418	19,373,281
სესხები	5,209,090	6,380,551
სრული ფინანსირება	22,620,508	25,753,832
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.64	0.68

რაც უფრო იზრდება ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონა, იზრდება კაპიტალის რენტაბელობის ვარიაციის გაქანება, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი და წმინდა მოგება. ეს მეტყველებს ინვესტირების ფინანსური რისკის ამაღლებაზე ბერკეტის ძალის ზემოქმედების გაზრდის შემთხვევაში.

ფინანსური ლევერიჯის დონის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მოგებისა და ფულადი ნაკადის ზრდის ტემპები. ზომიერად მზარდი მოგებისა და ფულადი ნაკადების მქონე კომპანიამ უფრო მშვიდად უნდა აიღოს დიდი ვალი, ვიდრე არამყარი და ქაოსური ფულადი სახსრების მქონემ, რის გამოც დეფოლტის შედეგი კომპანიისათვის ძალიან სერიოზულია.

საწარმო-ფინანსური ლევერიჯი არის განზოგადებული მაჩვენებელი და წარმოადგენს საწარმოო და ფინანსური ლევერიჯის ნამრავლს. ის საერთო რისკს გამოხატავს, რაც

დაკავშირებულია საშუალებების შესაძლო უკმარისობასთან საწარმოო და ფინანსური ხარჯების დასაფარავად.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ღირებულება გაცილებით რეალურად ასახავს აქციონერთა ან სესხის მფლობელთა ინვესტიციების ღირებულებას, ვიდრე ისტორიული ღირებულება. საბაზრო ღირებულება წარმოადგენს მიუღებელ შემოსავლებს, რომლებიც ინვესტორის მიერ აქციების გაყიდვის შემთხვევაში შემოვიდოდა. იგი ასევე წარმოადგენს თანხას, რომლის გადახდაც მოუწევდა კომპანიას, თუ მას კაპიტალის დაფარვა ენდომებოდა. ამიტომ თუ ინვესტორები სესხისა და საკუთარი კაპიტალის შეფასებას საბაზრო ღირებულებით ახდენენ, მიზანშეწონილია ლევერიჯის გაანგარიშება საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

უმრავლეს შემთხვევაში ლევერიჯის გაანგარიშება ხდება საბალანსო ღირებულებით, რადგან საბაზრო ღირებულებით ყოველთვის ვერ ხერხდება დაფინანსების ყველა წყაროს შეფასება, საბალანსო ღირებულება კი ყოველთვის ცნობილია.

შემოსავლების (ანუ პროცენტების) ლევერიჯის გაანგარიშებისას პრივილეგიური აქციები განიხილება სესხის სახით და შესაბამისად ამ აქციებზე დივიდენდები განიხილება, როგორც სესხის პროცენტი.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებია: კაპიტალის ლევერიჯი და პროცენტის ლევერიჯი.

შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ მაგალითზე განვიხილოთ პირველი ჯგუფის ლევერიჯის კოეფიციენტები:

ფინანსური ლევერიჯის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში გაიანგარიშება, როგორც აქტივების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან.

2015 წელს:  $35\,543\,084 / 24\,846\,174 = 1.43$

2016 წელს:  $26\,968\,246 / 19\,373\,281 = 1.39$

2017 წელს:  $26\,002\,760 / 17\,411\,418 = 1.49$

რაც უფრო მეტია აქტივების წილი საკუთარი კაპიტალზე, მით მეტია ნასესხები კაპიტალის წილი და მაშასადამე, ფინანსური რისკი იზრდება.

ამ მაჩვენებლის გამოსახვა, ასევე შესაძლებელია შემდეგნაირად:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{მოგება \% და გადასახადის გადახდამდე}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}}$$

2015 წელს: 4 774 990 / 1 950 125 = 2.44

2016 წელს: 5 375 363 / 1 954 867 = 2.75

2017 წელს: 4 293 378 / 1 961 863 = 2.19

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება ბრუტო მოგება დასაბეგრი მოგების მაჩვენებელს. როცა ლევერიჯის კოეფიციენტი არის ერთზე მეტი, ეს ნიშნავს, რომ რისკი არსებობს. მოზიდულ გრძელვადიან სესხებთან ერთად იზრდება გადასახდელი პროცენტიც და შესაბამისად ლევერიჯის დონეც.

## დასკვნა

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს იმ დონეზე განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, როგორც დამახასიათებელია ძირითადად უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის.

ზოგადად, კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში შეიძლება შეეხოს საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნებს, რაც დიდი ალბათობით გავლენას იქონიებს კომპანიაზეც, მაგალითად რეალიზაციაზე, ფონდების მოძოვებაზე და ა.შ. ამ პრობლემებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით და დადგეს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევები მრავლადაა, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა, როგორ იმოქმედებს საბოლოო ფინანსურ შედეგებზე და ა.შ.

საკვლევ თემაზე მუშაობის შემდგომ შეგვიძლია შევაჯამოთ შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ ფინანსური მდგომარეობა, სამომავლო პერსპექტივები და მისი პოზიციონირება ბაზარზე. ამის საფუძველზე კი მივცეთ გარკვეული რეკომენდაციები, კონკრეტული წინადადებები, რომელიც დაეხმარება მისი ამჟამინდელი მდგომარეობის მეტად გაუმჯობესებაში.

როგორც უკვე ვახსენეთ, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც გავლენას ახდენს მოგების გადასახადის გაანგარიშებაზე. კომპანიები დაიბეგრებიან თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდების გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

ცვლილებამ დაუყოვნებელი გავლენა მოახდინა გადავადებულ საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც მიეკუთვნება წინა პერიოდებს. კომპანიამ ახლიდან გადათვალა თავისი გადავადებული

საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მთლიანად გაანულა გამოუყენებელი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიის ფინანსური აქტივები 2016 წელს ნაკლები იყო ფინანსურ ვალდებულებებზე, ხოლო 2017-ში ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა და აქტივების წილი ვალდებულებებთან შედარებით გაიზარდა (დანართი #5), რაც ძირიდად სესხების შემცირებითა და მოთხოვნების ზრდის ხარჯზეა განხორციელებული.

შევეხოთ, ასევე, „ემბავუდ ჯორჯიაში“ არსებულ მოზიდულ სახსრებს, მას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენლია, როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ აღნიშნული რისკი იმართება, შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთების სესხების შერევით.

კომპანია აკმაყოფილებს ლიკვიდურობისა და ფინანსური ვალის EBITA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტებისათვის მოთხოვნილ პირობებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს Debt Service Coverage Ratio, რომელიც შეადგენს 0.2-ს ნაცვლად მოთხოვნილი თანაფარდობისა 1.3:1.1 -თან. ხელმძღვანელობის ვარაუდით, აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა არ წამოადგენს გადამწყვეტს და ბანკი კვლავ განაგრძობს კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას მშენიანელოვანი დამატებითი ხარჯებისა და კონტრაქტის პირობების ცვლილების გარეშე.

ფინანსური ანალიზისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას წარმოების მაჩვენებლები, რომლებიც დანართ #6-შია წარმოდგენილი დინამიკაში და გვამღვეს იმის თქმის საშუალებას, რომ პროდუქციის გამოშვება შემცირებულია, რაც გამოწვეულია რიგი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე. მთავარი მათგანი არის ექპორტის მოცულობის შემცირება, ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენა. ბაზრის სამომხმარებლო მოთხოვნილების შემცირება დაკავშირებულია ეკონომიკურ პრობლემებთან, მათ შორის ლარის კურსის დაცემასთან.

ასეთ ვითარებაში მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავებას და გატარებას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია კომპანიის შემდგომი განვითარებისთვის, რადგანაც ეს

გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, „ემბავუდ ჯორჯია“ გამოყოფს 0.5 მილიონ ლარამდე თანხას წელიწადში მარკეტინგული კვლევისა და მისი პროდუქციის რეკლამისათვის. კვლევების თანახმად მისი პირდაპირი და მთავარი კონკურენტია კომპანია „საბა“, რომელიც პრიორიტეტულად მუშაობს თბილისის ბაზარზე, ხოლო რეგიონალურ ბაზარზე მისი წილი გაცილებით დაბალია, ვიდრე ემბავუდ ჯორჯიასი. ამიტომ მაქსიმალური ძალისხმევა იხარჯება, იმაზე, რომ არ მოხდეს ფასების ზრდა. რაც, რასაკვირველია, დადებითად არ აისახება კომპანიის რენტაბელობაზე.

ფინანსური სიტუაციის ნორმალიზებისთვის შეგვიძლია მივცეთ კომპანიას შემდეგი რეკომენდაციები:

- ასორტიმენტის განახლება, გადახალისება
- საფასო პოლიტიკის გადახედვა
- ბაზრის უფრო ღრმა ანალიზი
- მეტად აგრესიული სარეკლამო პოლიტიკა

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ. „ლიკვიდობისა და რენტაბელობის მაჩვენებლების დაბალანსების შესახებ“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2012 წელი
2. ბასს 7 ფულადი ნაკადების ანგარიშგება, თბილისი 2009.
3. ბასს 16 ძირითადი საშუალებები, თბილისი 2009
4. ბასს 23 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, თბილისი 2009
5. ბერაძე გ. ესტონური მოდელის დეტალები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ფორბს-მოსაზრება 2017
6. ბურდული ფ., ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. თბილისი 2000
7. ბურდული ფ., სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი. თბილისი 1993
8. ეჯიბაია მ. ესტონური მოდელის ქართული პერსპექტივები 2017
9. ინგოროყვა ა. , ცაავა გ., ფინანსური მენეჯმენტი, თბილისი 2011
10. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ., ფინანსური ანგარიშგენა, გამომაცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011
11. კოვზანაძე ი. ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. მაცნე, გვ. 109-121, თბილისი 2001.
12. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი, ნაწილი I - ეკონომიკური ანალიზის თეორია, თბილისი 2003
13. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, თბილისი 2009.
14. მელქაძე ქ. „ესტონური მოდელის გამოწვევები, გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე
15. მენტეშაშვილი ფ., სიახლენი მოგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზში. თბილისი 1994

16. მიქაუტაძე გ, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, ინტერვიუ.  
<https://bpn.ge/biznesi/19129-mogebis-gadasakhadis-estonuri-modelis-mthavari-saidumlo.html?lang=ka-GE>
17. ნულოვანი მოგების წერტილის ანალიზი, AG INTERNATIONAL CONSULTING  
<http://www.agconsulting.ge/ka/news/2017-11-02-nulovani-mogebis-tsertilis-analizi>
18. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2016.  
[http://www.rs.ge/common/get\\_doc.aspx?doc\\_id=10174](http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10174)
19. სილაგაძე ა., ეკონომიკური ლექსიკონი, თსუ, თბილისი 2001
20. ფასს მცირე და საშუალო საწარმოსთვის  
[https://saras.gov.ge/Content/files/Final-IFRS\\_for\\_SMEs\\_2017\\_%202017-october.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/Final-IFRS_for_SMEs_2017_%202017-october.pdf)
21. შენგელია ვ., საწარმოთა ფინანსური ანალიზი
22. შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების მასალები
23. ცირამუა ე., ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა-მეთოდიკა), თბილისი 2007.
24. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2011
25. ჭილაძე ი. მოგების გადასახადის ახალი მოდელი საქართველოში და მისი აღრიცხვის თავისებურებები
26. ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009
27. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ. ეკონომიკური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010.
28. ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.
29. Arnold G., Davies M. Value-base Management, L.Wilys, 2000.
30. Bonita K. Kramer. Christie Willson Jhonson-Analysis of statements. 2009.
31. James Bondler-How to use Financial statements.1994.
32. Jerome B. McKinney. Effective financial management in public and nonprofit agencies.Greenwood Publishing Group. 2004.
33. John A. Tracy. How to Read a Financial Report: Wringing Vital Signs Out of the Numbers.Wiley 7 edition May 4. 2009.



34. M. E. Thukaram rao, „MANAGEMENT ACCOUNTING”, published by New Age International (p) Ltd, Edition 2003
35. Sharan. Fundamentals of Financial Management. Pearson Education India. 2008

## შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს დანართები

### დანართი #1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ღარი	შენიშ ენა	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ ებული)	2015 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშ ებული)
<b>აქტივები</b>				
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	2,840,067	1,798,100	2,007,524
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	6,189,904	4,813,262	10,838,416
გადახდილი ავანსი		2,038,950	1,218,752	224,432
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	87,609
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი მარაგები	7	7,308,372	9,927,126	11,295,380
		<u>18,377,293</u>	<u>17,757,240</u>	<u>24,846,174</u>
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
არამატერიალური აქტივები	5	120,167	195,867	51,649
ძირითადი საშუალებები	4	7,505,300	9,015,139	10,645,261
		<u>7,625,467</u>	<u>9,211,006</u>	<u>10,696,910</u>
<b>სულ აქტივები</b>		<u>26,002,760</u>	<u>26,968,246</u>	<u>35,543,084</u>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი	10	11,179,716	11,179,716	14,181,138
აკუმულირებული მოგება/ზარალი		6,231,702	8,193,565	10,390,896
		<u>17,411,418</u>	<u>19,373,281</u>	<u>24,572,034</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,916,261	596,757	2,387,364
გადასახდელი ხელფასი		75,892	64,824	24,055
მიღებული ავანსი		22,653	4,414	143,176
გადასახდელი მოგების გადასახადი		4,978	250,613	-
საგადასახადო ვალდებულებები		320,622	255,593	-
მოკლევადიანი სესხები	11	1,249,158	1,215,665	2,708,239
საგარანტიო ანარიცხები		42,046	42,213	47,233
		<u>4,631,410</u>	<u>2,430,079</u>	<u>5,310,067</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხები	11	3,959,932	5,164,886	5,633,364
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	6	-	-	27,619
		<u>3,959,932</u>	<u>5,164,886</u>	<u>5,660,983</u>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<u>26,002,760</u>	<u>26,968,246</u>	<u>35,543,084</u>

დანართი #2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2017 წელი	2016 წელი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	12	21,022,536	21,106,980
რეალიზაციის თვითღირებულება		(16,729,158)	(15,731,617)
საერთო მოგება		<b>4,293,378</b>	<b>5,375,363</b>
სხვა შემოსავალი		714,593	273,333
<i>ადმინისტრაციული ხარჯები</i>			
ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი		(1,087,608)	(1,318,290)
ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ცვეთა		(307,541)	(258,920)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(740,274)	(838,361)
მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯები		<b>(2,135,423)</b>	<b>(2,415,571)</b>
<i>კომერციული ხარჯები</i>			
რეკლამირების და პიარის ხარჯები		(393,305)	(464,219)
გადაზიდვის ან ტრანსპორტირების ხარჯი (კომერციული)		(77,175)	(101,140)
კომერციული პერსონალის ხელფასი		(791,437)	(794,776)
კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ცვეთა		(37,453)	(81,388)
ჭირაწილის ხარჯები (კომერციული)		(344,054)	(326,056)
ცვლილება საგარანტიო ანაზღაურებში		(27,255)	(28,995)
სხვა კომერციული ხარჯები		(213,509)	(199,983)
მთლიანი კომერციული ხარჯები		<b>(1,884,188)</b>	<b>(1,996,557)</b>
<i>სხვა ხარჯები</i>			
საკურსო სხვაობა, წმინდა	13	1,018,719	78,175
ფინანსური ხარჯი	14	(446,071)	(736,941)
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(5,067)	10,785
მარაგების დანაკარგი და გაუფასურების ზარალი		(179,315)	(116,335)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი		(3,272,219)	(2,229,948)
სხვა ხარჯები		(53,617)	(197,171)
მთლიანი სხვა ხარჯები		<b>(2,937,570)</b>	<b>(3,191,435)</b>
მთლიანი ხარჯები		<b>(6,957,181)</b>	<b>(7,603,563)</b>
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		<b>(1,949,210)</b>	<b>(1,954,867)</b>
მოგების გადასახადი	15	(12,653)	(242,463)
წლის წმინდა მოგება		<b>(1,961,863)</b>	<b>(2,197,331)</b>
სხვა გაერთიანებული შემოსავალი/ხარჯი		-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი		<b>(1,961,863)</b>	<b>(2,197,331)</b>

დანართი #3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.

ღარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან მიღებული ფული	23,080,243	24,254,538
მომწოდებელზე გადახდილი ფული	(11,016,741)	(13,776,279)
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასი	(2,675,627)	(2,935,932)
კეუბასა და თანამშრომელთა სხვა სარგებელზე გადახდილი ფული	(216,928)	(246,044)
სატრანსპორტო მომსახურებაზე გადახდილი ფული	(874,918)	(647,098)
რეკლამირებასა და პირზე გადახდილი ფული	(427,992)	(523,750)
იჯარისა და დაცვის ხარჯი	(453,269)	(439,927)
სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი ფული	(954,097)	(914,505)
გადახდილი გადასახადები	(4,187,829)	(3,357,523)
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>2,272,842</u>	<u>1,413,480</u>
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა შექენა და მშენებლობა	(25,826)	(518,557)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	36,087	245,365
<i>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<u>10,261</u>	<u>(273,192)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სააქციო კაპიტალის შეესება	256,659	132,922
სესხებზე გადახდილი ფული	(975,527)	(822,090)
გადახდილი პროცენტი	(444,466)	(715,588)
<i>წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან</i>	<u>(1,163,334)</u>	<u>(1,404,756)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ზრდა/შემცირება	1,119,768	(264,468)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,798,100	2,007,524
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(77,801)	55,044
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	<u>2,840,067</u>	<u>1,798,100</u>

დანართი #4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2016 წლის 1 იანვარი	14,181,138	10,390,896	24,572,034
წლის მოგება/ზარალი	-	(2,197,331)	(2,197,331)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	(2,197,331)	(2,197,331)
საწესდებო კაპიტალის შემცირება მესაკუთრებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	(3,001,422)	-	(3,001,422)
	(3,001,422)	-	(3,001,422)
2016 წლის 31 დეკემბერი	11,179,716	8,193,565	19,373,281
წლის მოგება/ზარალი	-	(1,961,863)	(1,961,863)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	(1,961,863)	(1,961,863)
2017 წლის 31 დეკემბერი	11,179,716	6,231,702	17,411,418

დანართი #5 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, 2016-2017წწ-ში.

*ფინანსური აქტივები*

ღარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები:		
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	6,189,904	4,813,262
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	2,840,066	1,798,100
	9,029,970	6,611,362

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით:	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სესხები	5,209,090	6,380,551
საფაქრო ვალდებულებები	3,340,206	1,172,200
	8,549,296	7,552,751

დანართი #6. საწარმოო მაჩვენებლები

ემბავუდ ჯორჯია	ერთეული	2014	2015	2016	2017
საოჯახო ავეჯის წარმოება	კვ.მ	760.157,60	369.978,60	310.005,10	251.711,60
რბილი ავეჯის წარმოება	კომპლექტი	9.269,40	6.922,00	7.330,50	6.687,70
მელამინური ფილების წარმოება	ცალი	138.328,00	56.784,00	55.337,00	50.083,00
ნახევარფაბრიკატების წარმოება	კვ.მ	28.038,70	13.050,20	12.872,70	11.988,50
ლეიბების წარმოება	ცალი	9.963,00	7.324,40	6.586,00	5.841,00